

729  
1973



# ՊԵՏԱԿԱՆ ՆՆՆՆՆՆ



729

76

1973



საქართველოს თეაგრაფიკული საზოგადოების

# გოაგა

№ 1 (71)

იანვარი—თებერვალი

12289

ქ. მარჯოს სბ. სქ. სსრ  
ს. ხ. ლეონიძის რ. სსრ  
29. იანვარი

რედაქტორი—**ერეკია ქარელიშვილი**  
პასუხისმგებელი მდივანი — **ვურაჷ ბათიაშვილი**

---

---

**სარედაქციო** დ. ანთაქე, ვ. გოქიაშვილი, ო. ეგაქე, ნ. გურაბანიქე,  
**კოლეგია:** დ. მხედლიქე, ზ. ჟღანბი, ნ. შხანბირაქე, ზ. ციციშვილი,  
დ. ჯანელიქე.

---

---

რედაქციის მისამართი: კიროვის ქ. № 11-ა, ტელ. 99-93-78

# ქართული თეატრის დღე

**ქართული** თეატრალური საზოგადოებრიობა 14 იანვარს ყოველწლიურად დიდი აღმავლობით ატარებს თეატრის დღეს. ეს არის ქართული კულტურის ერთ-ერთი ტრადიციული დღესასწაული, რომლის დროსაც ჩვენი განვლილი მიღწევების ერთგვარი შეჯამება ხდება. სცენის ოსტატები მკუთრებულს თავის შემოქმედებით ანგარიშს აბარებენ, თეატრები ამ დღეებში უჩვენებენ სეზონის საუკეთესო სპექტაკლებს.

წელსაც, 14 იანვარს საქართველოს თეატრალური საზოგადოების აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში მოეწყო ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საღამო.

საღამო გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ. მან აღნიშნა, რომ წელს 123 წელი შესრულდა მან შემდგომ, რაც აღდგენილ იქნა ქართული თეატრი გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით. ეს იყო 1850 წლის 2 იანვარი (ძველი სტილით), როცა დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყარა“ ეხლანდელი პირველი საშუალო სკოლის საქართველო დარბაზში. გიორგი ერისთავის თეატრს დიდხანს არ უარსებნია, მაგრამ დიდი ილიასა და აკაკის მეთაურობით ქართული თეატრი კვლავ წამოიღა ფეხზე. 1879 წელს ჩამოყალიბდა მუდმივი დასი. ამის შემდეგ ქართული თეატრის არსებობა აღარ შეუწყვეტია. ჩვენს დროში კი ქართულმა თეატრმა უმაჯაღითო წარმატებებს მიაღწია. დღეს ქართული თეატრი აღიარებულია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენი დრამატურგების პიესები იდგმება მომხრე რესპუბლიკის თეატრების სცენაზე. ორატორმა აღნიშნა აგრეთვე ის ფაქტი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენში სწორედ დღეს, 14 იანვარს მიდის ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“. სპექტაკლში მონაწილეობენ ჩვენი ქართველი მსახიობები.

დასასრულს ახალი გამარჯვებები და წარმატებები უსურვა ქართულ თეატრს და ქართველ მსახიობებს.

სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე. მან აღნიშნა, რომ ქართულმა თეატრმა დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა ხელოვნების წარმატებაში. ქართულმა თეატრმა ჩამოაყალიბა თავისი სახე, რომელიც ბევრი თეატრისათვის გასაზიარებელი და სიმაგალითოა, თუ როგორ უნდა თანამედროვე თეატრის შენება და განვითარება.

სომხური თეატრის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დორი ამირბეკიანმა. ჩვენ, სომეხი კოლეგები, თქვა მან, ვამაყობთ ქართული თეატრის წარმატებებით და ბევრ რამეს ვსწავლობთ მისგან.

გრიბოედოვის თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მავრ ჰაისციკიმ.

პროფესორ სოლომონ ხუციშვილმა ილაპარაკა ქართული თეატრის წარსულსა და დღევანდელ მიღწევებზე.

საინტერესო იყო ქურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ოთარ ევაძის გამოხატვა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ქართული თეატრის დღეს უფრო ფართო მასშტაბით, უფრო საზეიმო ვითარებაში ვატარებდეთ.

დრამატურგმა გიგლა ხუჩაშვილმა ილაპარაკა ქართული თეატრისა და დრამატურგის შემოქმედებით თანამედრობობაზე, რამაც ბოლო დროს მეტად თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დიმიტრი მჭედლიძემ ილაპარაკა ქართულ საოპერო ხელოვნებაზე, ზაქარია ფალიაშვილის ოპერების უდიდეს წარმატებებზე ჩვენი რესპუბლიკის გარეთ. ასევე ხაზგასმით აღნიშნა ქართული ბალეტის საყოველთაო წარმატებები.

დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქ. სახალხო არტისტებმა მ. ჭაფარიძემ, ი. ტრიბოლსკიმ, ე. მალალაშვილმა, ე. მახარაძემ, შ. ხერხეულიძემ, რესპ. დამსახურებულმა არტისტებმა მ. მახვილაძემ, ზ. კვერენჩილაძემ, მსახიობებმა ე. მონიაძემ, ა. ბუაძემ, გ. ბიბილოვიძელმა, ე. ყირმელაშვილმა. ნაჩვენები იქნა ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: ე. ანუის „ანტიგონე“ (რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი), გ. ხუჩაშვილის „მოსამართლე“, ე. ბუაძის კომედია „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ (ე. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი) და „ურიელ აკოსტა“-დან (ლენინის რაიონის სახალხო თეატრი).

საიათნოვას ლექსი წაიკითხა რესპ. დამსახურებულმა არტისტმა რ. პაპოვიანმა. შესრულდა აგრეთვე ს. მირიანაშვილის სიმღერები.

# ქართული მოლიერის

## დავით ფანჯულიძე

გიორგი მრისთავამ შემხმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწიგნობარის გამაგმამხარად მოგვამოხმნა.

ილია ქავჭავაძე.

კომედიანტი დრამატურგიის ერთ-ერთი წამყვანი და საინტერესო დარგია. დიდი კომედიის შექმნა ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის ღრმა ცოდნას, განსაკუთრებულ ნიჭს და იშვიათ მხატვრულ ოსტატობას მოითხოვს.

მსოფლიოს გამოჩენილ კომედიოგრაფებს საოცარი ალღო ჰქონდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა შეგვრძნობისა, ამ ნაკლოვანებათა მხილვისა და მხატვრული განზოგადოებისა. გაჩნდათ თავისებური ძალა და უნარი, რომელთა მეოხებით ისინი ზოგადსაკუთრებო იდეების სიმაღლეზე აღიოდნენ და საერთაშორისო მასშტაბის მწერლები ხდებოდნენ.

ფრანგული კომედიის დიდოსტატი მოლიერი წერდა: „კომედიის ამოცანაა — გამოხატოს ადამიანური მანკიერებანი საერთოდ და უმთავრესად ჩვენი თანამედროვეობის მანკიერებანი“. მოლიერს სწორად ესმოდა კომედიის მიზანდასახულება და კიდევაც შესძლო მისი ბრწყინვალედ განხორციელება თავის უკვდავ კომედიებში.

მოლიერის განსაკუთრებული დამსახურება როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომედიოგრაფისა ისაა, რომ მან კომიკური სიტუაციის ფონზე შექმნა საუკუნეობრივი ტიპიური სახეები ტიპიურ გარემოებებში. მოლიერმა სიცილი, სატირა, იუმორი ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა. მის დაუვიწყარ კომედიებში სიცილი, როგორც მძაფრი სოციალური სატირა, ძლიერია საშუალება ადამიანთა ზნეობრივი აღზრდა-გამოსწორების გზაზე. მოლიერს სწამდა, რომ სიცილი არის ერთ-ერთი საუცხოო იარაღი საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ მანკიერებათა აღმოსაფხვრელად.

მოლიერმა ფრანგულ კომედიას უფრო მეტი დემოკრატიული ხასიათი და საზოგადოებრივ-შემეცნებითი ღირებულება მისცა, ამავდროს მაყურებელთა ესთეტიკური აღზრდისა და დატკბობის მაღალი დანიშნულება.

მოლიერი ახლოს იცნობდა როგორც საზოგადოების დაბალი ფენების, ასევე მაღალი ფენების ცხოვრებას. მისი მახვილი თვალი და აზრი ყველგან და ყველადღეს წედებოდა. მოლიერს

უყვარდა თქმა: „მე ვიღებ სიკეთეს ყველგან, სადაც კი მას ვნახულობ“.

საფრანგეთის პროვინციებში თავისი დასით დიდხანს მოგზაურობამ მოლიერს ბევრი რამ შესძინა. აქ გამოიწოთო მოლიერის დიდი სამსახიობო ნიჭი, აქ ჩამოყალიბდა ის როგორც გენიალური მეამბოხე დრამატურგი. პარიზში დაბრუნებული მოლიერი ზედიზედ აქვეყნებს და დგამს კომედიებს, რომელთაც ურყეულო ალტაცებაში მოჰყავს მკითხველი და მაყურებელი.

მოლიერია უმაგალითო შრომის ეფეოდა როგორც დრამატურგი, მსახიობი, რეჟისორი, დირექტორი. ის დღემდე ასწორებდა და ჰქმნიდა საერთაშორისო მნიშვნელობის ნაწარმოებებს. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია: „ტარტიფი ანუ მუხმუხელა“, „დონ ჟუანი ანუ ქვის სტუმარი“, „მიზანთროპი“, „სასაცილო პრანკია ქალები“, „ძალად ექიმია“, „ჟორჟ დანდენი ანუ გასულელებული ქმარი“, „ქუნფი“, „გაანაზურებული მღაბიო“, „სკაპენის ცუდლუტობა“, „ექვით ავადმყოფი“, „ციოლის შეტყუებისება“, „სიყვარული მკურნალობს“, „სიცილიელი ანუ სიყვარული მხატვრობს“, „სანარეელი ანუ ქმარი, რომელსაც ჰგონია ცოლი მალატობს“, „ჩინებული სასიძინი“ და სხვ. ყველა ზემოდასახელებული კომედია გარდა, „მიზანთროპისა“, ქართულად თარგმნა და თითქმის ყველა დაიდგა კიდევაც ქართულ სცენაზე.

მოლიერის შედეგების ქართული თარგმნები შესრულებულია საკმაოდ მაღალ ლიტერატურულ დონეზე და საგრძნობლად უწყობდნენ და კვლავაც უწყობენ ხელს ჩვენი ლიტერატურისა და თეატრალური ცხოვრების გამდიდრებას.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის თავისი შემოქმედების სატირული სიმახვილით, ბასრი კალმით, „ქართველი მოლიერის“ საპატიო სახელი დამსახურა ახალი ქართული თეატრის ფუძემდებელმა გიორგი ერისთავმა, რომელიც იმ მხრივ მოგვაგონებს მოლიერს, რომ დრამატურგიც იყო და არტისტიც, რეჟისორიცა და თეატრის ხელმძღვანელიც.

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვა-

წე ალექსანდრე სარაჯიშვილი ქართველ მოლიერს „ქართული კომედიის შპასს“ უწოდებდა.

საგულისხმოა, რომ მოლიერი და გიორგი ერისთავი თითქმის ერთნაირ ასაკში გარდაიცვალენ, მოლიერი ორმოცდათორმეტი წლისა, გიორგი ერისთავი ორმოცდათერთმეტი წლისა.

1850 წელს საქართველოში ჩამოვიდა ნიკოლოზ პირველის მემკვიდრე — ალექსანდრე, რომელსაც მამუნიდელმა კავკასიის მთავარმართებელმა მიხეილ სიმონისძე ვორონცოვმა მთავარს—ალექსანდრეს გიორგი ერისთავი წარუდგინა, ასე მოახსენა „იცნობდით, თქვენო უდიდებულესობა ქართველ მოლიერს“. ალექსანდრე ნიკოლოზისძემ ხელი ჩამოართვა გიორგი ერისთავს და ღამილით უთხარა: „ძალიან მიხარია, რომ ქართველებსაც ჰყოლიათ თავიანთი მოლიერი“.

ვინც ღრმად დაუყვირდება მოლიერისა და გიორგი ერისთავის დრამატურგას, ის ბევრ საერთოს აღმოაჩენს მასში. პირველ რიგში ისაა აღსანიშნავი, რომ გიორგი ერისთავმა ისეთივე დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრის განვითარებაში, როგორც მოლიერმა ფრანგული თეატრის ამაღლებაში. როგორც საფრანგეთში მოლიერის კომედიების საფუძველზე, ანუ ქვე საქართველოში გიორგი ერისთავის შემოქმედების საფუძველზე მთელი თაობები აღიზარდნენ. მოლიერისა და გიორგი ერისთავის რეალიზმის მამხილებელი და დემოკრატიული ხასიათი საინიმუო გახდა თითოეული მათგანის მშობლიური ლიტერატურისათვის. ჰუმანისტა სატირატორები მოლიერი და გიორგი ერისთავი იყვნენ ნოვატორი დრამატურგები, ნოვატორი მსახიობები.

გიორგი ერისთავის კომედიებმა („გაყრა“, „დავა“, „ძუნწი“, „შეშლილი“ და სხვ.) საერთო აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში, მათ კოხხვას დღდაღა ხალხი დაეწვია, სკენაზე წარმოდგენისას ხომ ტევა აღარ იყო დარბაზში. ბევრმა ზეპირად იცოდა მთელი რიგი მონოლოგებისა ამა თუ იმ კომედიიდან.

1850 წლის 2 იანვარი (ახალი სტილით 14 იანვარი). დიდმნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია ახლად აღორძინებული ქართული თეატრის ისტორიაში. ამ დღეს დაიდგა ქართულ სცენაზე დიდი ქართველი კომედიოგრაფის გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“, რომელსაც უმაგალითო წარმატება ხვდა. კომედიათა განსაკუთრებული სიხარული მიანიჭა ქართველ ხალხს. სექტაკლის მაყურებელთა ვადმოცემით: „კვირებმა და თოქმის თევებმა გაიარა პირ-

ველი წარმოდგენის შემდეგ და ლხინი გაუთხრებელი იყო“.

ქართველი ხალხის ამ დიდ ზეიმში მოწინავე რუსი ინტელიგენციაც იღებდა მონაწილეობას. დარბაზში, მქუხარე ოვაცია რომ გაუმართეს ავტორსა და შემარულელებს, იყო მთავარმართებელი მ. ს. ვორონცოვი მეუღლითურთ, ისინი ფეხზე მდგარი ვაცხარებით უყრავდნენ ტაშს. ცნობილი რუსი პოეტი იაკობ პოლინსკი წერდა: „პირველად წარმოდგინეს ქართულ ენაზე ეროვნული კომედია „გაყრა“, პიესა იმდენად კარგია, იმე გააკვირვა ყველა თავისი უბრალოებით, თავისი ორიგინალობით და თავისი ღრმა იუმორით, რომ ჩვენ ამ შევეცდითა უბრალო შექმნით დავკმაყოფილდეთ... კომედიის შესრულება, რომელშიც თვით პოეტი იღებდა მონაწილეობას, ყოველნაირ შექებაზე მაღლა იდგა. პიესა რომ გავგვტო და ქართველებივით მოხიბულულიყავით, ამისათვის საჭირო არ იყო ქართული ენის ცოდნა“.

კომედია „გაყრა“ დიდი წარმატებით ჩაიარა და მაღალი შეფასება დაიმსახურა (გიორგი ერისთავი სექტაკლში მიკარტემ გასპარჩის როლს ასრულებდა). ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ გიორგი ერისთავმა გაიმარჯვა როგორც დრამატურგმა, რეჟისორმა და მსახიობმა. ამ მხრივ ჩვენი სასიქველლო კომედიოგრაფი პირდაპირ მოვეგავონება მოლიერის უკედვე გენის.

ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ მიუთითებდა გიორგი ერისთავის სატირას თავისებურებაზე. ილია ამბობდა: „გიორგი ერისთავმა ჩვენი გონება ჩვენი შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა“ და ჩვენი პოეზიას ჩაუმატა ის პირვეტიანი ეკალი, რომელსაც სატირას ექსანან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწულებებს ხოლმე მას, ვისაც კი დაექვერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს“.

გიორგი ერისთავი მოლიერივით თავისი რეალისტიკი მეთოდი მიმართა ცხოვრებაში არსებული ბოროტებისა და სიმანჩნის წინააღმდეგ საბრძოლველად. გიორგი ერისთავი მოლიერივით უარყოფს ყოველივე ხელოვნურსა და ნაძალადევს, დრომოქმულ, მოქველებულ ზნე-ჩვეულებებს, ბოროტებას, პირმოთნობას. იგი იცავს ადამიანის ბუნებრივ უფლებებს და მოთხოვნილებებს, მაღალ საზოგადოებრივ მორალს და კიხხვას ძალადობას, მატერიალურ ანგარებას, ეგოისტურ მისწრაფებებს.

მოლიერი და გიორგი ერისთავი თავიანთ ნაწარმოებებში მწვევე სატირის მომარჯებით იბრძვიან ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც აფერხებდა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას და ამახიჩვებდა ადამიანის სულიერ და გონებრივ სამყაროს, ამავე დროს ისინი საზო-

<sup>1</sup> იხ. თუხისები ჩვენი მოხსენებისა — „მოლიერი ქართულ ლიტერატურაში“. თბილისის ახელმწიფო უნივერსიტეტი. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პირველი სამეცნიერო სესია, 1962 წელი, 9 ივნისი.



ტადღობას ამაღლებდნენ და ამზადლებდნენ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

რომ უფრო ნათელი გახდეს გიორგი ერისთავის „ლიტერატურული ნათესაობა“ მოლიერთან და გიორგი ერისთავის ქართველი მოლიერობა, მოკლედ შევადარებთ მხოლოდ მოლიერის „ქუნწის“ გიორგი ერისთავის ამავე სახელწოდების კომედიას.<sup>1</sup>

გიორგი ერისთავის „ქუნწის“ მსგავსებას მოლიერის „ქუნწთან“ განაპირობებს შემდეგი გარემოებანი. ორივე ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირნი (მოლიერთან ჰარპაგონი, გიორგი ერისთავთან კარაპეტა) სიძუნწის გამო ერთნაირად „დაშფავარ-დადავლენი არიან“, „მათ ცაცობაც კი აღარ ეტყობათ“. მათი ეს თვისება კომიკურ სიტუაციებშია გამოვლილი, ცხადია, სხვადასხვანაირი სიღრმით, სიფართოვით, მხატვრული აღლოთი და პოეტური გაქანებით.

ორივე დიდ მწერალთან სიძუნწე გამოხატულია, როგორც სოციალური ბოროტება: ფულის ყოვლად გამრყენელი გავლენა აღმანიებზე, მორალზე, ოჯახზე, საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. ჰარპაგონი ამბობს: „ფული ჩემი სისხლხორცი, ჩემი გულღვიძლიაო“. მას თავის ოჯახში სასტიკი, აუტანელი რეჟიმი აქვს შემოღებული, ყველას უბრძანებს: „აუეჯი ბევრი არ ხეხნოთ, გაცდებდა“, „ნურავის დააღვივნებთ დღინოს, სანამ რამდენჯერმე არ მოითხოვს“, „ახალ ტანსაცმელს ხშირად ნუ ჩაიცვამთ, გაფუჭდება“, „ნასუფრალზე თვალი გეჭირათ, არა წახედეს რა“. ჰარპაგონს სიტყვა „მიეცი“ ისე ეზიზღება, რომ არასოდეს არ იტყვის: სალამი მომიცია, — სალამი მისესხებიაო. საკუთარი ეტლი რომ დაემტვრა მის შესაკეთებლად ფული არ გაიშტა. თავის ცხენებს ნაკლებად კვებავს, ფულის დახარჯვის შიშით, ღამე ლაპარაკის დროს სინათლეს აქრობს, რადგან ლაპარაკი სიბნელეში შეიძლება და ხარჯიც ნაკლები იქნება და სხვ.

გიორგი ერისთავის კარაპეტაც პირქუში ძუნწი. დათნობილი ტანსაცმლით დაიარება, ღამე მშვიერი წეება, საშინლად უპურმარიაოა. მიუხედავად იმისა, რომ კარაპეტა უსწავლელია, ფულის ანგარიში კარგად იცის. ის განგინი ხმლით ასაჩუქრებს თავის სიძეს.

ჰარპაგონი და კარაპეტა მეცხშენი, ფულის

<sup>1</sup> ამ მხრივ საინტერესოა სამაჟლო ომში დაღუპულის, ქართული ლიტერატურის ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარის დოქ. ნიკო ტატიშვილის შრომა: გ. ერისთავის „ქუნწის“ პოეტობები მსოფლიო ლიტერატურაში“. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. 1, 1941 წ.

დამგროვებელი არიან. ისინი ასაკითაც ერთნაირნი არიან. მათ შორის არის საერთო თვისებები, ხასიათები, რომლებიც მათ ერთმანეთთან აახლოვებს. საგულისხმოა ორივე ნაწარმოების დასასრული: კარაპეტა და ჰარპაგონი ფულებს იბრუნებენ.

გიორგი ერისთავეზე მოლიერის გავლენის შესახებ ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული. პირველი: გიორგი ერისთავის „ქუნწი“ დაწერილია მოლიერის „ქუნწის“ გავლენით და მიბაძვით და მეორე: არავითარი გავლენა და მიბაძვის ადგილი არა აქვს.

ას საკითხებზე ახლებური დაკვირება გვიკარანახებს, რომ აღნიშნული შეხედულებანი დაუხუსტებას მოითხოვს. როგორც მოლიერს არ აპყრებენ ის გარემოება, რომ იგი რამდენადმე დამოკიდებული იყო თავისი „ქუნწით“ პლატენ „განამისავან“, ასევე გიორგი ერისთავსაც არ აპყრებენ ის ფაქტი, რომ ის კარგად იცნობდა მოლიერის შემოქმედებას, საჭირო შემთხვევაში ოსტატურად, ორიგინალურად სარგებლობდა მისი კომედიების ცალკეული ნიმუშებით<sup>1</sup>.

გიორგი ერისთავმა კარგად იცოდა 1852 წელი ენა, ფრანგული ლიტერატურა. მის კალამს ეკუთვნის ვიქტორ ჰიუგოს და ბერანეს ლექსების ქართული თარგმანები. მანვე ვაღმოაჩინა ქართულად მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა 1852 წლიდან თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ადგილებში. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ გიორგი ერისთავისათვის ადრევე საგულისხმო და საინტერესო გახდა ფრანგული ლიტერატურა, განსაკუთრებით მოლიერის დრამატული წარმოდგენები. მას მოწონებდა და დიდად აფასებდა მოლიერს, ვინაიდან მან პირველმა ფრანგულ ლიტერატურაში, და არა მხოლოდ ფრანგულ ლიტერატურაში, შექმნა ნამდვილი რეალისტური თეატრი, „მალაი კომედია“. მოლიერი არის ახალი, მაღალი საფეხური მსოფლიო კომედიოგრაფიის განვითარებაში.

მოლიერის შემოქმედებით გატაცება ეს მხოლოდ მოლიერის სიდიადე კი არაა, ეს არის ამაღლდროს მისი კომედიური ნიჭის დამფასებლისა და ჭკრივანად გამგების სიდიადეც.

ყოველივე ამით, ქართველი მოლიერი გიორგი ერისთავი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, კიდევ უფრო მეტ სიბალღეზე ადის, ის კიდევ უფრო ფართო მასშტაბის კომედიოგრაფი ხდება, იგი თავისი დროის დრამატურგულ მიღწევათა დონეზე ღვას.

<sup>1</sup> იხ. ზემოდასახელებული ჩვენი შრომა: „მოლიერი ქართულ ლიტერატურაში“, 1962 წ.

# ახალგაზრდობა — დრო, ძიება, შემოქმედება

იამში ვხვდებით

**ახალგაზრდობა — დრო, ძიება, შემოქმედება...**

ამ დღეებით, 3 იანვარს ბაკურიანში გაიხსნა შემოქმედებითი ინტელექტუალური ახალგაზრდა წარმომადგენელთა მე-7 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც საქართველოს, ასევე მოძვე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

სემინარი გახსნა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ასეთი სახის შეკრებებზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, მაგრამ პრობლემების წამოჭრა, საკითხების დასმა კი აუცილებელია. შემდეგ სემინარის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომუნისტური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ახ. გ. ბედენიშვილი, რომელმაც ახალგაზრდებს მოუწოდა გულახდილი საუბროსაყენ იმ პრობლემების შესახებ, რაც დღეს ქართველ საზოგადოებრიობას აინტერესებს.

სიმპოზიუმის მუშაობამ ცხადყო, რომ ახალგაზრდებს მართლაც მრავალი სათქმელი აქვთ, მრავალი საკითხი აწუხებთ, მიეცემათ დღეების მსვენლობას.

5 იანვარს ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის დღის სემინარი მიჰყავდათ საქართველოს სსრ ჟურნალისტიკა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, ვაზეთ, „კომუნისტის“ რედაქტორს დ. მუქელიშვილს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს კ. გარდაუხაქის და ვაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორს ა. სანელიძეს. მოხსენება თემაზე „ახალგაზრდობა და პრესა“ წაიკითხა ჟურნალ საქართველოს კომუნისტის რედაქტორმა შ. ვაგოშიძემ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი პრესა ძალზე მოაკოვლებს ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საქმეში, რომ ხშირად პრესაში გამოქვეყნებული მასალების ხარისხი დაბალია, არ ხდება ფაქტების ანალიზი, იწერება მოსაყენი ენით. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გაიზიარეს მომხსენებლის აზრი და დააყენეს კონკრეტული საკითხები პრესაში გამოქვეყნებული მასალებზე იდეური შინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ტელე-ჟურნალისტიკის თანამედროვე პრობლემებზე ისაუბრა საქართველოს ტელევიზიის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების მთავარმა რედაქტორმა მ. ვაფინაშვილმა.

6 იანვარს — მხატვრობისა და არქიტექტორის

დღეს — დარბაზში გამოფენილი იყო ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები, არქიტექტორთა პროექტები. სემინარი მიჰყავდათ ხელოვნების დამს. მოღვაწეს, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს ი. ჩხენკელს. საქართველოს დამს. მხატვრებს დ. ლოლუსა და რ. თარხან-მოურავს.

არქიტექტორის თანამედროვე პრობლემებზე, ნაციონალური ტრადიციების გამოყენებაზე თანამედროვე არქიტექტურაში — ისაუბრა არქიტექტორმა ი. ჩხენკელმა. იგი შეეხებოდა შიდა სივრცის პირთისა და სვანეთის განაშენიანების საკითხსაც. არქიტექტორებმა ა. ჯაფარიძემ და ლ. ლორთქიფანიძემ სემინარის მონაწილეებს გააცნეს მიტარება-ბაკურიანი — ციხისკვრის პერსპექტიული გეგმა. კამათი გაიმართა არქიტექტურაში დამკვიდრებული შტამპების თაობაზე.

თანამედროვე მხატვრობაზე ისაუბრა ხელოვნათმცოდნე თ. ფერაქემ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს გამოყენებით ხელოვნებაზე, რეკლამებზე. აღინიშნა ის დიდი ხარვეზი, რაც საშუალო სკოლაში სახეობის ხელოვნების შესწავლას გააჩნია.

7 იანვარს მუსიკის დღის სემინარი მიჰყავდათ საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პირველ მდივანს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ა. ბალანჩივაძეს, ქორეოგრაფულ-მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარეს, ხელოვნების დამს. მოღვაწეს ო. გორდელს. მოხსენება „ახალგაზრდობა როლი ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში“ წაიკითხა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

მოხსენებისა და კამათის შემდეგ მოეწყო კონცერტი „მუსიკის საღამო“. ეს დღე დასრულდა საესტრადო ანსამბლის „ორეკას“ გამოცემათ.

8 იანვარი გამოცხადებულ იყო თეატრის დღედ. სემინარი მიჰყავდათ საქართველოს სსრ სხ. არტისტს ლ. ალექსიძეს და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ე. გუგუშვილს.

მოხსენება „ახალგაზრდობა და თანამედროვე ქართული თეატრი“ წაიკითხა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ნ. ურუშაძემ. მან ისაუბრა იმ ზოგად პრობლემებზე, რაც ნიშანდობლივია დღევანდელი ქართული თეატრის ახალგაზრდობისათვის.

ორატორმა აღნიშნა, რომ დღეს ქართულ თეატრში თაობათა შორის სიმწვავე, კონფლიქტი შემოქმედებითი პოზიციების გამო არ არსებობს, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ცდი-



ლობს ხარისხობრივ შეცვლას დაწინაურებულ მსახიობებს. მან ისაუბრა თანამედროვე მსყუარებლის გემოვნებაზეც, მის დონეზე და აქედან გამომდინარე იმ რთულ მისიაზე, რაც ახალგაზრდა ხელოვანი აკისრია. ნ. ურუშაძემ აღნიშნა მსახიობებში საკუთარი თავის თამაშის ტენდენცია, ერთფეროვნება. ამის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნია როლებზე განაწილება ასაკის მიხედვით, გარეგნობის მიხედვით. აგრეთვე ხაზა გაუსვა იმას, რომ ახალგაზრდობა ძალზე მოიკოჭლებს პლასტიკის, მეტყველების საკითხში. თავიდანვე სერაოზული ყურადღება უნდა მიექცის სასცენო ოსტატობას.

ნ. ურუშაძემ აღნიშნა, რომ არც კრიტიკის სფეროშია სასურველი მდგომარეობა, რადგან ახალგაზრდა კრიტიკოსები ძალზე პასიურნი არიან.

თანამომხსენებლებმა — ახალგაზრდა თეატრმცოდნეებმა ისაუბრეს კონკრეტულად თბილისში. თეატრების შემოქმედებით ცხოვრებაზე ბოლო ორი სეზონის მიხედვით. მეტი თვალსაჩინოებასათვის მათ წარმოადგინეს სქემები, რომელიც იმდროულად ემთხებას, თუ რამდენი ახალგაზრდა მსახიობია ამ თუ იმ თეატრში, რამდენად არიან ისინი დატვირთულნი და იძლევა თუ არა როლები შემოქმედებითი ზრდის საშუალებას.

ამ თვალსაზრისით რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შესახებ ისაუბრა თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა მ. კობახიძემ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შესახებ ისაუბრა თეატრმცოდნე მ. გეგიაშვილმა.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის შესახებ ილაპარაკა თეატრმცოდნე ნ. ანდრანოვიცკიმ.

ქართულ მოზარდაყურებელთა თეატრის შესახებ ისაუბრა თეატრმცოდნე ნ. დევითემ, რუსული მოზარდაყურებელთა თეატრის შესახებ კი — თეატრმცოდნე ნ. კაჭუხაშვილმა.

ახალგაზრდა თეატრმცოდნეები გულწრფელად ლაპარაკობდნენ ჩვენს თეატრებში არსებულ შემოქმედებით ატმოსფეროზე და იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც ხელს უშლის ახალგაზრდობის გახედულ დაწინაურებასა და დაოსტატებას. ამ გულწრფელმა საუბარმა ცხოველი გამოხმებურება ჰპოვა აუდიტორიაში.

ყველამ გაიზიარა აზრი ახალგაზრდული თეატრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. რეჟისორმა ს. მრევლიშვილმა წამოაყენა თეატრალური ინსტიტუტში სასწავლო თეატრის შექმნის წინადადებაც. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო და ახალგაზრდული თეატრები ორგანულად ჩამოაყალიბებენ თეატრალური ხელოვნების მომავალ ოსტატებს და ეს საშუალებას მის-

ცემს აგრეთვე ყოველ თეატრს შეარჩიოს შემოქმედების სპეციფიკური მსახიობები.

თეატრის დღე შეაჯამა საქართველოს სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, მან ისაუბრა იმ ხარვეზების შესახებ, რაც მსახიობთა აღზრდას შეეხება — პლასტიკა იქნება ეს, მეტყველება, თუ მსახიობთა ოსტატობის სხვა მხარეები. მხარი დაუჭირა სასწავლო და ახალგაზრდული თეატრების შექმნის იდეას.

თეატრის დღე დაამთავრა ახალგაზრდა რეჟისორის ნ. კვანახაძის სპექტაკლმა „შენ ეი, გამარჯობა“ თეატრალური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტების გ. მახათაძისა და გ. შანშიაშვილის მონაწილეობით. საღამოს კი წარმოდგენილი იყო ახალციხის დრამატული თეატრის სპექტაკლი „დაიწვიებული ამბავი“, რეჟისორ ნ. დემეტრაშვილის დადგმათ.

9 იანვარს კინოს დღის სემინარი მიჰყავდათ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს ლ. დოლობერიძეს, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს ა. ძიძიგურს.

მოხსენება „ქართული ფილმი 1971-72 წელს“ წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სალარიძემ.

10 იანვარს ლიტერატურული დღის სემინარი მიჰყავდათ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს გ. აბაშიძეს, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივნებს კრიტიკოს ბ. ელენტს და საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატს ჯ. ჩაჩავიანს.

მოხსენება თემაზე „ქართული მწერლობის ინტერნაციონალური ტრადიციები“ წაიკითხა გურამ გვრიდნიშვილმა, ხოლო „სალიტერატურო კრიტიკა და ახალგაზრდა მწერლები“ — რ. მიშველაძემ.

11 იანვარს სემინარმა მუშაობა დაამთავრა. შემოქმედებელი სიტყვით გამოვიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების ვახტე ამხ. ბუდენიშვილი. მან აღნიშნა, რომ სემინარმა მაღალ დონეზე ჩაიარა, რომ განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა მუსიკოსა და თეატრის დღეები. შემდეგ შეჩერდა სემინარის მუშაობის ზოგიერთ ხარვეზზე. დასასრულს ახალგაზრდობას მოუწოდებდა გამოაჩინონ მეტი თავმდაბლობა, თვითკრიტიკის გრძნობა, ურთიერთდამარებისა და ურთიერთგაგების უნარი.

ახალგაზრდობის სახელო საქართველოს ალექსანდრეოვსკი კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ ისინი მიიღონ თავის ცოდნასა და უნარს, შემოქმედებით შესაძლებლობას მოახმარებენ კომუნისტურ პარტიის, ხალხის, საშრობლოს ინტერესებისათვის ბრძოლას.

## ქონკურსის შედეგები

**საპირთველოს** დრამატულ თეატრებში ახალგაზრდა მსახიობების მხატვრული მიღწევებს შემდგომი გაძლიერების, ნიჭიერი ახალგაზრდა პერსპექტიული ძალების გამოვლინების თეატრებში ამ მხრივ მუშაობის უკეთ დაყენებას მანძით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, რესპუბლიკის ალკე ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და კულტურის მუშაეთა რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1971 წლის დასაწყისში გამოცხადდა ახალგაზრდა არტისტული ძალების შემოქმედებითი მიღწევების რესპუბლიკური ორწლიანი დათვლიერება-კონკურსი.

ყოფილი ორა წლის მანძილზე, ე. ი. 1971 წლის იანვრიდან 1973 წლის იანვრამდე, მთელს რესპუბლიკაში დაათვალიერა 20 თეატრი, მათ შორის 6 თბილისში, 14 რაიონში.

დათვალიერებაში მონაწილეობა არ მალდია ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრს, იძის ვაჟო, რომ დამში არ აღმოჩნდა არც ერთი ახალგაზრდა — 30 წლამდე ასაკზე თითქმის არ არის ახალგაზრდობა რესპუბლიკის თოჯინების თეატრებში.

თეატრებმა, დათვალიერების დაწყების წინ, ყურის წარმოდგინეს დასათვალიერებელი ახალგაზრდა მსახიობების, რეჟისორებისა და მხატვრების სეზონი და დასახელეს ამ ახალგაზრდების მიერ შექმნილი როლები თუ სხვა ნამუშევრები. დათვალიერების პროცესში სახელდება ახალი სახელები.

ყოფილი სულ დაათვალიერა 127 სექტაკლი. აქედან, თბილისის თეატრებში — 68, რაიონებში — 59.

ყოფილი წევრებმა ნახეს ორ, სამ და ზოგჯერ უფრო მეტ როლებში, იმას მიხედვით, თუ როგორ არიან ისინი თეატრებში დატვირთულნი.

ყოფილი წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოუმუშავებოდათ გარკვეული აზრი თეატრის მუშაობაზე ახალგაზრდობასთან, მათ შემოქმედებით დატვირთვაზე, მათ პერსპექტიულ შესაძლებლობებზე მომავლისათვის.

ყველა სტრუქტურა და რეკომენდაციები ხდებოდა მკაცრობის სავანად ამ დისპუტებზე, რომლებიც სპეციალურად მოეწყო ამ საკითხებთან დაკავშირებით. სულ ჩატარდა 9 ასეთი შეხვედრა. დათვალიერებულ ახალგაზრდობაზე დაიწერა რეცენზიები: სულ წარმოდგენილია 369 რეცენზია.

შეაჯამა რა ჩატარებული მუშაობა, კონკურსის ყოფილი დაადგინა მიენიჭეთ:

### დრამატულ თეატრებს:

I ხარისხის დიპლომი — მესხეთის სახელმწიფო თეატრს;

II ხარისხის დიპლომი — რუსთაველის თეატრს;

III ხარისხის დიპლომი — მარჯანიშვილის თეატრსა და სოსხუმის თეატრის ალხაზურ დასს.

### საბავშვო თეატრებს:

I ხარისხის დიპლომი — მოზარდმაცურებელთა ქართულ თეატრს;

II ხარისხის დიპლომი — მოზარდმაცურებელთა რუსულ თეატრს;

### ინდივიდუალურად დაჯილდოვდნენ:

#### I ხარისხის დიპლომით:

1. ვალ. კოვე — აფხაზეთის თეატრის, აფხაზეთის დასის მსახიობი;

2. გ. ჯავთარაძე — ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი;

3. ე. ბასილაშვილი — რუსული მოზარდ მაცურებელთა თეატრის მსახიობი;

4. ნ. მჭავარიანი — ქართული მოზარდ მაცურებელთა თეატრის მსახიობი.

#### II ხარისხის დიპლომით:

1. ო. ოყრეშიძე — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი;

2. გ. პატარიძე — მესხეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი;

3. ა. მახარაძე — რუსთაველის თეატრის მსახიობი;

4. მ. ჭანაშვილი — რუსთაველის თეატრის მსახიობი;

5. ლ. ყარასაშვილი — ბათუმის თეატრის მსახიობი;

6. ჯ. მონიავა — მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი;

#### III ხარისხის დიპლომით:

1. მ. მუხლიშვილი — რუსთაველის თეატრის მსახიობი;

2. ვ. ბუტკუარაშვილი — თელავის თეატრის მსახიობი;

3. ლ. თავაძე — ჭიათურის თეატრის მსახიობი;

4. ე. ხინვაია — ქუთაისის თოჯინების თეატრის მსახიობი;

5. ხ. გრიგორიანი — გარბოვდოვის სახელობის თეატრის მსახიობი;

6. მუხიტაბერაძე — რუსული მოზარდ მაცურებელთა თეატრის მსახიობი;



7. ჯ. ვიწარაშვილი — ცხინვალის თეატრის ქართული დასის მსახიობი;

8. ე. კახულაშვილი — გორის თეატრის მსახიობი;

9. ს. ჯაფარიძე — ცხინვალის ოსური დასის მსახიობი.

დრამატული თეატრების შემოქმედ ახალგაზრდობას დათვალე რესპუბლიკურმა კომისიამ, საბჭოთა კავშირის დათვალე რეპერტუარში მონაწილეობისათვის რეკომენდაცია გაუწია:

1. მესხეთის დრამატულ თეატრს (მთავარი რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი);

2. რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „ბუმანდელი“ (რეჟისორი თემო ჩხეიძე);

3. მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლს „შენ ვი, ვამარჯობა“ (დამდგმელი რეჟისორი ნანა კვასხვაძე).

მსახიობებს:

გიორგი ქეთარაძეს (ბათუმის სახელმწიფო თეატრი);

ვალერი კოვეს (სოხუმის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დასი);

ვახტანგ ოყრეშიძეს (ქუთაისის დრამატული თეატრი);

ნათელა მაჭავარიანს (მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი);

ევენი ბასილაშვილს (მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრი).

## ოპერა „დაისის“ გრივადი დასავლეთ გერმანიაში

საპარტიზო თეატრალური საზოგადოების ავ. ზორაქას სახელობის მსახიობის სახლმა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან არსებულმა თეატრის სექციამ 2 თებერვალს მოაწყეს შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. საარბრიუენში განხორციელებული ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ მონაწილე ქართველ მსახიობებთან და სადადგმო ჯგუფთან.

შეხვედრა გახსნა საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დოდო ანთაქემ. მან ქართველ მსახიობებსა და დამდგმელ ჯგუფს მიულოცა ქ. საარბრიუენში ოპერა „დაისის“ დიდი წარმატება.

სიტყვით გამოვიდა საქ. კულტურის მინისტრის მოადგილე ვახტანგ კუპრავა. მან დამსწრე საზოგადოებას გაუხარა ქ. საარბრიუენში მიღებული შთაბეჭდილებები.

— უპირველესი მოზუნა ქ. საარბრიუენში წარმატებისა — თქვა მან — არის ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა, რომელიც ისევე გასაგები და ძვირფასი აღმოჩნდა გერმანელთათვის, როგორც არის ის ჩვენთვის — ქართველთათვის.

იმ წარმატებაში, რაც „დაისის“ ხედა წილად, დიდი როლი ითამაშა საარბრიუენის თეატრის

მთელმა კოლექტივის თავდადებად, შემოქმედებითა მუშაობამ. „დაისის“ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა დამდგმელმა ჯგუფმა რეჟისორ გ. ყორღანიას, დირიჟორ დ. მირცხულავას, ქორეოგრაფ ვ. გუნაშვილის და მხატვარ თ. სუმბათაშვილის შემადგენლობით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „დაისის“ ქართველი სოლისტი მომღერლების ლ. ჭყონიას, ნ. ანდლუაძის, შ. კიკნაძის და მოცეკვავე ვ. გუნაშვილის მონაწილეობა.

მთარგმნელმა ნელი ამამუელმა საზოგადოებას გააცნო ქ. საარბრიუენში გამოქვეყნებული რეცენზიები და წერილები ოპერა „დაისის“ შესახებ. გერმანულმა პრესამ დიდებული შეფასება მისცა ოპერა „დაისის“.

დამსწრე საზოგადოებას თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ოპერის დამდგმელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ყორღანიამ, მხატვარმა თ. სუმბათაშვილმა, ქორეოგრაფმა ვ. გუნაშვილმა, მომღერალმა ნ. ანდლუაძემ და სხვ. მათ აღნიშნეს ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელიც ადგილობრივმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ ქართული კლასიკური ოპერისადმი გამოიჩინა.

## „კოლხეთის სისკარი“

მეზა ძიგუა

**რთულია**, მეტად რთულია, ხელი მოჰქალოს თეატრმა ისეთი ნაწარმოების ხორცშესხმას, რომელშიც კარგა ხანია საყოველთაო აღიარება მოიპოვა, რომლის გმირები სკოლის მერხიდანვე შეიყვარეს და შეისისხლბორცეს; სირთულეა აღრმევებს ის გარემოებაც, თუკი ასეთი ლიტერატურული ნაწარმოების სცენური სიცოცხლე სხვა თეატრების სცენაზე ასლო წარსულის კუთვნილებაა. ასეთ შემთხვევაში თეატრმა რომ თავისი არჩევანის აუცილებლობა გაამართლოს, ღრმად უნდა ჩასწვდეს ნაწარმოების დედაზრს და დაწერილი ფორმით წარმოგვიდგინოს ის სათქმელი, რაც დღევანდელ დღეს განსაუტრებული სიმწვავით უნდა წარმოიჩინდეს. შესაძლოა კი რუსთაველის თეატრმა ამ სირთულის გადალახვა? მივიღეთ თუ არა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ დადგმით თანამედროვე ეპოქის თანახმიერი სპექტაკლი? თეატრმა, ძირითადად, შესარტლა თავისი მისია. ლ. მირცხულავას რეჟისორულ ინტერპრეტაციამ შევიკრძინეთ დრომოქმულის მსხვერვისა და ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამოყალიბების გარდღევალობა.

მივყვეთ მოვლენათა განვითარებას თანმიმდევრობით:

ფარდის გახსნისთანავე ვეცნობით მხატვარ გ. გუნიას ნამუშევარს. მხატვარი იცავს სცენური პირობითობის „დამკვიდრებულ“ პრინციპს. გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა — ერთ წრეში ჩატულია მთელი სამოქმედო არე: ბარანაბა სავანელიძისა და ერემო პირტახიას კარმიდამო, „არტელის“ ეზო, სოფლის ვოგობიკების სანავარდო და ა. შ., რაც გ. გუნიას უთულო მახვილგონიერულად და გემოვნებით შეუსრულდება, მაგრამ მხატვრის ფუნქს აკლია ის კოლორიტი, რაც ეტოლად დამახასიათებელია იმერეთის იმდროინდელი სოფლისთვის, რის გარეშე მხატვრის ჩანაფიქრი მხოლოდ ცალმხრივად ვითარდება.

სპექტაკლი იწყება მექისა და ხაყოშიას შერიკების სცენით. რეჟისორი ქორეოგრაფ მურთაზ ჩახავსთან ერთად შეეცადა ორიგინალური შტრიხებით წარეპართა კილაობა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მექის რთული ხასიათის გახსნას სპექტაკლში. მიყურებელს მძაფრად უნდა შეეგრძნო „ახალი ადამიანის“ ფსიქოლოგიური გარდაქმნების პროცესი. ნაწარ-

მოების მიხედვით, მექი თავდაპირველად გვიცნობა მეტრამეტად გაუბედავ, მორცხვ, უკუღმართი ცხოვრებისაგან შეშინებულ, დამფრთხალ პიროვნებად. ერთადერთი, რაც ამხნევებდა — ეს იყო თალიკოს სიყვარული: „სიცოცხლე მხოლოდ მაშინ უხაროდა ამ საწყალს, როდესაც ყოველთვის სუფთად ჩაცმული, თავნება და შემოუვლელი თალიკო სათამაშოდ დაუძახებდა“. თალიკოს სიყვარულმა წააქეზა მექი, დაჰკიდებოდა ხაყოშიას და სწორედ ამ ეპიზოდს დაუკავშირა მწერალმა მექის შინაგანი ბუნების მნიშვნელოვანი შტრიხის გამოჩვენება: „ასპარეზს რომ მიუხალოვდა, გული ისე გამალებით უქვერდა, თითქოს მთელი სიცოცხლის ეალი ახლა ერთბაშად უნდა მოეხადა. წრუნა უხერხულად შევიდა, ფეხები ძლივს შეიტანა. ყველაზე უფრო ხელემა შეაწუხა. არ იცოდა სად წაელო, როგორ დაეშალა“. მსახიობ დ. ჩხიკვაძის შესრულებით მექი საინტერესო სცენური სახეა, მაგრამ რატომღაც მისი ეს თვისებები უგულებელყოფილია. კილაობის სცენაში იგი ისეთი გამალებით ექვერება ხაყოშიას, რომ ზემოთმოყვანილ ციტატასთან პარალელის გავლება ცოტა არ იყოს, უხერხულობასაც კი იწვევს. მსახიობი სწორხაზოვნად ხსნის მექის ხასიათს — თავიდანვე წარმოგვიდგენს აფორიაქებულ, შემტვე, გარკვეული მიზნისაკენ მიმავალ ქაშაშულ კაცად. რომელმაც თითქოს იცის, რომ საბოლოოდ ახალი დროის მშენებელ ადამიანად უნდა ჩამოყალიბდეს. მთელ რიგ სცენებში დ. ჩხიკვაძის შესრულებისთვის დამახასიათებელია გულწრფელობა, განცდათა გადმოცემის ბუნებრიობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახეზე შემდგომი ძიებით მსახიობი დახვეწს თავის ნამუშევარს.

ნაწარმოების იდეური რეზონანსის გამოკვეთაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტარასი ხაზარაძის სახეს. ტარასი ერთგვარი წინამძღოლია მშრომელი ხალხის მოსწრაფებებისა, მათი გამიზნული ოცნებები შინაგანი საყრდენი და გამამხნევებელია. მან ბოლშევერცისთვის დამახასიათებელი ძლიერებაცა და ავტორიტეტაც უნდა განუმტკიცოს და შეეაგნებინოს ხალხს, რომ მათ მიერ არჩეულია გზა შეუცდომელია და ღირსეული, რომ ხაზარაძის მკაცრ ხელმძღვანელს სოფელი თვალდახუჭულად შეიძლება გაჰყვეს. ტარასის როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი გ. ხარაბაძე. გ. ხარაბაძე პერსპექტიული



მსახიობია. ტარასის როლშიც იპყრობს იგი ჩვენს ყურადღებას მონდომებით — დაგვიხატოს სოფლის კეთილდღეობისათვის მებრძოლი, სულიერად მხნე და ფიზიკურად ძლიერი ადამიანის შთაბეჭდვად სცენური სახე, რაც მან, ძირითადად, დაუღებოდ გადატარა.

სპექტაკლის შთაბეჭდვით მონაკვეთია სასოფლო კრების სცენა, სადაც ყველაზე მეტად შევიგრძენით ნაწარმოების იდეური სულისკვეთება და შემართება. რეჟისორმა აქ შესძლო გამოკვეთა საუკუნეებით განმტკიცებულ ინსტიტუტებსა და მავნე ჩვევებს შეტაკება ნათელ საწყისებთან, ეჩვენებინა მშრომელი ხალხის ცხოვრებაში ახალი სხივის შემოჭრის გარდუვალობის ძლევამოსილება. ასევე კარგადაა გახსნილი ბარნაბა საგანგებო და დახუნღარას საუბრის სცენა ბოლო მოქმედებაში, სადაც ნათლად იგრძნობა, რომ ბარნაბა თავისი ბატონობის უკანასკნელ წუთებს ითვლის.

ბარნაბას სახეს სპექტაკლში განასახიერებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კარლო საყანდელიძე, რომელიც სახასიათო როლების ჩინებული შემსრულებელია. კ. საყანდელიძე ცდილობს მოგვეცეს გარდასახვის ნიშნები — სრულყოფილად წარმოედგინა სოფლის ბობოლას გაიძვერა და ბოროტი ბუნება.

ბარნაბას ამაყი და ლამაზი ქალიშვილის თაქოკოს განხორციელება სპექტაკლში დავისრა მსახიობ ლია გუდაბეს. იგი უფოთლდ შესაუფრისია ამ როლისათვის, მაგრამ თუ ჩვენ მაინც ერთგვარი უმცრობის გრძნობა გვრჩება, ამის თავდაპირველი მიზეზი რომანის სცენურ ვარიანტში უნდა ვეძიოთ.

მოუხედავად იმისა, რომ ხაჯომაის წინააღმდეგობრივი ხასიათი მთელი სისასვით ვერ გავციხსნა მერაბ თავაძემ, ჩვენ მაინც ვთვლით, რომ ეს ნამუშევარი მსახიობის უცილობელი წარმატებაა.

ერემო პირტახის მეტად საინტერესო სახე წარმოედგინა ჯემალ ლაღანიძემ. მსახიობი მამხილებლობითა და სატირული სიმწვავეით გვიხატავს „სისხლის მწოველ“ მეღვინეს, მომართავს სახის გახსნის გროტესკულ ხერხებს, მაგრამ ერთა უფოთლდ არ ცდილობს მოივენებოთ გარეგნული ეფექტების გამოყენებით იოლად გაიკაფოს გზა მყუდრებლად. მისი გმირი სწორედ შინაგანი დამაჯერებლობითა და სიმართლით იქცევა სურადღებას.

სპექტაკლის შენაქმენია რესპუბლიკის სახალხო

არტისტის იმპლიტე გვიჩიას მიერ ნამდვილად მხატვრული ტაქტიით გამოძერწილი დახუნღარას სახე. დახუნღარა კომიკური პერსონაჟია. მისი მოქმედებები მუდამ კომიკურ სიტუაციებთანაა გადახლართული, რაც დარბაზში თავისთავად უარმოქმნის მხიარულ რეაქციებს, ი. გვიჩიას შთაბეჭდვით კომიკური მსახიობია და ამ როლში, როგორც იტყვიან, თავს ისე გრძნობს, ვით „უეჭვი წყალში“. მსახიობის დიდი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბრძიდ არ სარგებლობს როლის მომგებიანი ბუნებით. თავისი შესრულებით ი. გვიჩიამ განსაკუთრებული ხაზგასმით გვაგრძობინა დახუნღარას სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ადამიანური ღირსებები: უფაქიხესი ღირსიზმი, კაცთმოყვარეობა, კეთილშობილება, რითაც სახის მხატვრულ სრულყოფას მიაღწვია.

არსებობს, ეპიზოდური სახეა ტუნა დაშინიანი, მაგრამ მისი ფუნქცია ორგანულ კავშირშია ნაწარმოების სიუჟეტურ ქარგასთან. ტუნა, ერემოსთან და ბარნაბასთან ერთად, უპირისპირდება კეთილი საწყისების დანერგვის ყოველგვარ გამოკლებას; „წყალწოდებულის“ მსგავსად ცდილობს ცხოვრების გზაზე გაასვლელ „ხავსს“ მოუქიდო, რათა ჭუჭყიან მორეკში არ ჩაყენითოს, მაგრამ ცხოვრება უღმობელია და მკაცრი — არავის შეარჩენს მრუდე გზით მიღწეულა კარიერით ნებურობას. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ბუხუტი ზაქარაიძემ თავის შესრულებაში გამოკვეთა ტუნა დაშინიანის თვითმკაცრობა, შინაგანი სიამაყე, რომლის განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოდგენა მხოლოდ ტუნა დაშინიანის ხელმძღვანელ პირებს ახასიათებთ.

არ შეიძლება, სპექტაკლიდან არ გამოვყოთ სამი ეპიზოდური სახე — მართა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ძიგრაშვილი), ნესტორ ვარდოსანიძე (მსახიობი ე. სახლთხუციშვილი) და ზებუდა (მსახიობი ვ. ელოშვილი), რომლებმაც თავიანთი შესრულებით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ პატარა როლის საშუალებითაც შეიძლება საკუთარი სათქმელი თქვა. სარეკენიო სპექტაკლს, როგორც აღვნიშნეთ, ახლავს ცალკეულ ნაკლოვანებები, მაგრამ მოუხედავად ამისა, რუსთაველელთა „კოლხეთის ცისკარი“ კოლექტივის საყურადღებო ნაწარმოებია და რეჟისორს სრული შესაძლებლობა აქვს გააგრძელოს თავისი ძიება. დახვეწოს და სრულყოს სპექტაკლი.

**„გუშინ შვილნი გუჩაენლნი“  
ჟანა თოიძე**

**3. აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში მყურებელმა ნახა სპექტაკლი

„გუშინ შვილნი გუჩაენლნი“ (კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, პეისის ავტორი მ. თარხნიშვილი)

ლი), რომლის დადგმა ევსტრენის თეატრის მთავარ რეჟისორს, აჭარის ასს რესპუბლიკის გელოვანების დამსახურებულ მოღვაწეს თ. აბაშიძეს.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლის სავსებით თანამედროვე მუსიკა, მისი თანამედროვე პარმონით, ავტენტული ულარესად ქართულ ეროვნულ სიმღერებსა და ქორალებზე.

სპექტაკლში ფაქტურისა და მელოდიურობის მხრივ ბევრი საინტერესო არაა, დეტატი და ანსამბლია. ამ სპექტაკლში ორკესტრს, ქორსო და ანსამბლს სოლისტებთან ერთად პროფესიულად უმუშავნიათ მთლიანი სპექტაკლის შესაქმნელად და ყველანი ისინი ერთნაირად მაღალ შეფასებას იმსახურებენ. მხოლოდ სასურველია, რომ დროთა განმავლობაში არ შესუსტდეს მომთხროვნელობა სპექტაკლისადმი, პასუხისმგებლობის გრძნობა სპექტაკლის ყველა მონაწილეებისა, რომელთაც ხელმძღვანელობენ თეატრის მთავარი დირიჟორი რ. ხურციღავა და ქორმეისტერი თ. სანაია.

სპექტაკლში ყურადღებას იქცევს პიესის გმირი-ქალი მკა, რომლის როლსაც ასრულებს საქ. სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ჩიბალაშვილი. რამდენიმე საინტერესო შტრახით, სიმღერის, ცეკვისა და სიტყვის სინთეზის საშუალებით მან შესწლო თანამედროვე მხიარული ქალიშვილის სახის შექმნა, რომელსაც უფუცარბს თავისი ხალხი და მისი ტრადიციები. გარკვეულად იგი, როგორც ყოველთვის, ეფექტური და სცენურია.

ბერო შაბა (საქ. სსრ დამსახურებული არტისტი თ. ხელაშვილი), რომელსაც დიდი სამამულო ომის გმირებზე შვიდი ვაჟიშვილი დაედგა, თავის დად მწუხარებას უთქმევდა და ამაყად ატარებს.

ბერო შაბას ძალიან უფუცარს თავისი სოფელი, თავისი სახლი, მას სურს შეინარჩუნოს მამაპაპური სახლი, ყოველივე ის, რასაც ტრადიციული იერა აქვს. მოდერნიზებული იდეების გველენაში მოქცეულ შვილიშვილებს კი, სურთ წაშლონ ყოველივე ძველი და აშენონ სტანდარტული სახლი; მათ პაპასთან მოაქვთ ასეთი ახალი სახლის პროექტი.

ბერო-შაბა წინააღმდეგია, მას აღეღვებს ის, რომ ასეთი „სიახლეებით“ ყველა ქალაქის სახლები ერთნაუნეს დაემსგავსება და არქიტექტურაში ეროვნული თავისებურება გაქრება.

მსახიობი კარგად აწსახიერებს პიესის საყვარელ გმირს. მაგრამ იმისათვის, რომ ეს სახე უფრო შთამბეჭდავი გახდეს, ჩვენი აზრით, საჭიროა მსახიობმა გამოავლინოს უფრო ძლიერი ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე და არა მარტო ის სენტიმენტალობა, რომელსაც ვხედავთ I აქტის დასაწყისში. მსახიობის ხმა, ცოტა არ იყოს, მონოტონურად და ერთფეროვნად ქედრს სხვა-

დასხვა სცენურ სიტუაციებში. სასურველია რომ მსახიობმა ვამიდიდროს სახე ინტონაცურად, ვინაიდან „ხმის გამომსახველობითი საშუალებანი — როგორც ამბობდა კ. ს. სტანისლავსკი — უდიდეს შესაძლებლობებს იძლევიან შინაგანი ცხოვრების გამოსავლენებლად სცენაზე“.

შვიდი დაღუბული შვილიშვილის ბებია თებროს თბილი, შთამბეჭდავი სახე შექმნა სპექტაკლში საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ბ. იანვარაშვილმა. მის მიერ შექმნილი მოსიყვარულე მან და ბებუის სახე მეტად დასაჭერებელია. მან შესწლო შექმნა გულხ ქალის ხასიათი, რომელმაც ჰპოვა თავის თავში ძალა შეენარჩუნებან სიცოცხლის სიხარული და სხვებისთვისაც ჩაენერვა თავისი ოპტიმიზმი. გმირი ქალს ამ თვისებებს გადმოცემას ბ. იანვარაშვილი თავისი აქტიორული ტემპერამენტით ახერხებს.

როგორც აღვნიშნეთ, სპექტაკლს ლიტერატურულ-მუსიკალურმა ფაქტურამ საშუალება მისცა მსახიობებს მრავალმხრე გამოველინათ თავიანთი ვოკალური და მსახიობური შესაძლებლობანი.

ნიქიერი კომპოზიტორი ვ. ანარაშვილი სპექტაკლისათვის მუსიკას ქმნიდა რეჟისორთან და მსახიობებთან მტკიცე თანამეგობრობით, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დაეხმარა ვოკალურებს გამოველინათ თავიანთი ვოკალური და მუსიკალური შესაძლებლობანი.

ჩვენ ვხედავთ სცენაზე ბერო-შაბას შვიდი დაეყვაცებულ შვილიშვილს. უფროსი გორგი არქიტექტორია. მის როლს დამახასიათებელი ხალისითა და ტემპერამენტით ასრულებს ნიქიერი მსახიობი ი. ვასაძე. მისი აქტიორული საღებავების პალიტრა მუდამ მდიდარია ინტონაციებით. ელისზარის შთამბეჭდავ სახეს ქმნის საქ. სსრ დამსახურებული არტისტი თ. ბახტაძე, ბიძინას — მსახიობი ა. დაშინანი, სამსონის სახეს — თ. ბაზღაძე, გიკასას — დ. მაქვარიანი, ფირუზას სახეს — ზ. კახიანი.

უმცროსი ძმის, მკასს საქმროს ლირიკულ სახეს ქმნიან მსახიობები ბ. ნებერიძე და ვ. ჩხენკელი. სამი მოხუცი გულხის მეტად მკაფიო სახასიათო სახეები შექმნეს ნიქიერმა მსახიობებმა ი. დათუაშვილმა (შხამა), საქ. სსრ სახალხო არტისტი ვ. სალარიძემ (შაქრია) და საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ქუთათელაძემ (ქონდარა ნიკა). მათ ქართულ-კახური კოლორიტი შემოაქვთ სპექტაკლში.

თუში მარტოს სახე შექმნა ნიქიერმა მსახიობმა ნ. პეტრიაშვილმა. მხოლოდ სასურველია, რომ მან მეტა ყურადღება მიაქციოს ვოკალისა და მეტყველების კულტურას.

მაყურებელმა შეიძლება ერთგვარად მიიჩნიოს

თანამედროვე დასავლეთ-ევროპული ცეკვა ალავერდის ტაძრის ფონზე, მით უმეტეს ალავერდის დარბაზში, რაც სპექტაკლის პერსონაჟთა, უფროსი თაობის სოფლელთა ვაიკების იწყებს, მაგრამ ამ სცენის გადაწყვეტისას რეჟისორი კონტრასტულობის ხერხს იყენებს. ეს მას, რა თქმა უნდა, მხოლოდ აძლიერებს, ერთის მხრივ მოცემულია დახვეწილი ტემპერამენტისა მოხეუტი ცეკვა საქ. სსრ სახალხო არტისტის ჯ. ბაგრატიონის დადგმით, ხოლო, მეორეს მხრივ თანამედროვე დასავლეთ-ევროპული ცეკვა თანამედროვე ჯაზის მანქანური რიტმით ლატვიის დასახურებული არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ი. პანკრატის დადგმით.

## შთამბრუნებელი სპექტაკლი ვანსანგ ზორგანელი

**ოთარ** ჩხეიძეს ვიციანობლი, როგორც შესანიშნავი მოთხრობებისა და რომანების ავტორს. განსაკუთრებით მისი პროზა მხიბლავდა იმით, რომ მასში მამულის სიყვარულთა და ცხოვრების ღრმა ცოდნით წარმოგვიდგენდა ავტორი კარგითავე ერთად იმ ნაკლსაც, რომელიც ჭრე კიდევ ჩვენს შორის ბოვანობს. ამ ქვილიში გამოკვეთილი სახეები, სიკეთისათვის მებრძოლი ადამიანები ხსოვნაში იმკვიდრებდნენ ბინას და სამაგალითონი რჩებოდნენ. ხშირად მესმოდა, რომ ოთარ ჩხეიძეს პიესებიც კარგად გამოუვიდაო. რატომღაც ვერ მომიხერხდა მათი სცენაზე წახვე. და აი ერთხელ, როცა შემთხვევით ახალციხეში მოვხვდი, იქ მხვდა წილად ბედნიერება, მეწახნა ახალციხის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „თედორე“. ენახე და ვანუშომელი სიამოვნებაც ვიგრძენე. ოთარ ჩხეიძის ეს პიესა ისე დიდებულად წარმოადგინა თეატრმა, რომ ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მსახიობებს უკლებლივ მიჰქონდათ მაცურებლის ვულამდის მშობლიური მაჟის სიყვარული, რომელიც ავტორს ამ პიესაში ჰქონდა გააზრებული. ენახე და გავიხარე, გავიხარე და გულიც დამწყდა, რომ ამკვარ პიესებს, მაჟისა და ხალხის სიყვარულით დამუხტულ პიესებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თეატრები რატომღაც გვერდს უვლიან და ხშირად ისეთს წარმოგვიდგენენ, რომელიც არც გულს ხედება და არც სულს. მე მაშინ ერთ-ერთი ჟურნალის საშუალებით ვთქვი კიდევაც, რომ „თედორე“ დედაქალაქის ყველა თეატრს დაამუშვენება-მეთქი, მაგრამ ვინ იღო ყურად, ხმა დარჩა ხმაღ მღალადებლისა უდაბნოსა შინა. იმედო მაინც არ დამიკარგვს, მეწარა „თედორე“ შეადებს რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების კარებს.

ამ დღებში ოთარ ჩხეიძემ კიდევ ერთი ახა-

მთლიანად სპექტაკლი „გუშინ შვიდნი გუშინდელინი“ თეატრისა და მისი კოლექტივის ახალი გამარჯვებაა. ეს წარმატება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პიესა ერთსა და იმავე დროს უაღრესად ეროვნულია და ამასთანავე თანადროულიც.

პიესის ძირითადმა იდეამ შეუძლებელია არ აღელვოს ჩვენი დროის ადამიანები. ამას გარდა, რეჟისორის დადგმა და მსახიობების თამაში საცხებით რეალისტურია, ხოლო ის პირობითობა, რომელიც მოცემულია სპექტაკლში, გააზრებულია და გასაგებია მაცურებლისათვის.

ლი პიესით გაგვახარა. ამ პიესის სათაურია „გორგო“. ეს ორმოქმედებიანი ტრაგედია ჩვენი სამშობლოს იმ მძიმე პერიოდს ეხება, როცა ამ დალოცვილ მიწა-წყალზე მონღოლთა ურდოები პარაშემდნენ და ქართულ ხალხს განადგურებით ემუქრებოდნენ. პიესა განახორციელა ვალერიან გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. იმ დღით საშინელი ამინდი იდგა, ზამთრის ცივი ქარი გამეტებით ატყლაშუნებდა ყოველს შოლტებს. ზამთარი ბობოქრობდა, მაგრამ ამაოდ, მაცურებელი მიანიც თავს გზით მიდიოდა. თეატრის სცენა შთაბეჭედავად იყო მოფიქრებული, იგი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს მთელი ქვეყანა ერთ ეკლესიად ქვეუღიყო და მის თაღებს ქვეშ მიდიოდა სასტიკი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის მონაწილე იყო მაცურებელიც. შფოთის სცენა, საქართველოს ბედნილობის ჩარხი ხან წალმა და ხან უტყლმა ბრუნავს. ქვეყანა უპატრონოდ არის მიტოვებული, მეფე დავით ულუ მონღოლებს ახლავს თავისი ლაშქრით, რომლის ძლიერება ვიცხო ტომის სამსახურში დგას. უფლასწული ფეოდალ ხედავს, როგორ პარტახდება ქვეყანა, როგორ იხრწნება სისასლე, იგი აღიმაღლებს ხმას ბოროტების დასათრუნავად, მაგრამ მის კეთილ განზრახვას წინ დედონაცვლი, მონღოლთა ნოინის ასულ დედოფალი ესუქანი გადაელობება. ზნედაცემული დედოფალი წამლავს უფლისწულ გიორგის, გზიდან ჩამოიშორებს მეფის ასულ თამარსაც. ამ ბოროტებაში დედოფალი მხარში უდგას ბახილ უჯარმელ-ჰყონდიდელს, რომელსაც დავით-ყემა თავისი მადლი მოვალეობა, დანაშაულისა და აღვირახსნილობის გზა დასდგამია. შორეული ლაშქრობიდან ბრუნდება დავით ულუ, უჯარმელ-ჰყონდიდელს ძელზე ვასკავს. იგი



ცდალობს უკუდმად მბრუნავი ცხოვრების ჩაბრუნებას. წაღმა შემოაბრუნოს, მაგრამ მის კეთილ განზრახვასაც მისწვდება ბოროტის ხელი, ესუქანის მოწამლავს მეფეს.

დედოფალი ესუქანის იბრძვის, რომ თავისი ნამდვილი ძე ბექა აიყენოს სამეფო ტახტზე. მისი განზრახვა უფრო შორს მიდის. ესუქანის სურვილია ბექას შერთოს ყაენის ასული და მისი საშუალებით ბექას ნონია ტახტისაკენ გზა გაუკვლიოს. დედოფალი ბექას ამზადებს მონღოლეთში წასასვლელად. ბექა დედის სურვილს წინ აღუდგება, მასში იღვიძებს მშობელი ხალხის, ქართველი ერის განუზომელი სიყვარული; ამ სიყვარულით ამაღლებული ბექა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ხალხს ჩაუდგება სათავეში.

პიესას თავიდან ბოლომდე უფლისწულ გიორგის უყვდავი სული დასტრიალებს თავს, მისი უღრთოდ ჩაფერვლილი სიცოცხლე მოუწოდებს ძმას და ადამიანებს სამშობლოს კეთილდღეობისაკენ.

როგორც ხედავთ, პიესა დიდი პატრიოტული ენერჯითაა აღსავსე, სიტყვა და საქმე ერთ კეთილშობილ მიზანს ემსახურება — მშობელი მიწის თავისუფლებას.

არც ისე იოლია წარმოდგინო სახე მეფე დავით ულუსი, რომელსაც მხრებზე ნონია მიიმე უღელი აწევს, შეილება გაუხუბედურეს, სარეცელი შეუბილწეს, ხალხი კიდევ უზომო გაჭირვებაში ჩააყენეს. რთულზე რთულია, მაგრამ თავს ართმევს ნიჭიერი მსახიობი ანზორ ურდია ამ სირთულეს. იგი, რაც მთავარია, შემოქმედებითად სწვდება როლის დედააზრს, ხშირად კულმინაციურ მომენტებსაც ქმნის. განა შეიძლება არ დავამახსოვრდეთ ის ადგილი, როცა გამწარებული მეფე იძახის: „გველი, ყველგან გველი...“

ანზორ ურდია სცენაზე გამოჩენისთანავე იპყრობს მაყურებლის ყურადღებას, მისი ცოცხალი მოძრაობა და ომახიანი ხმა სიამოვნების მომტანია, ეს სიამოვნება კიდევ უფრო დიდი იქნებოდა მსახიობი ზოგჯერ გადამეტებულ სიფიცხეს რომ არ იჩენდეს, რის გამოც მისი სიტყვა მაყურებლამდე ვეღარ აღწევს. იმედია ამას თანდათან დასძლევს, ამით მოიგვს კიდევ.

მართალია სცენაზე დიდხინის სიცოცხლე არ უწერია გიორგის, მაგრამ რამდენხანსაც არის

საყურადღებოდ წარმოგვიდგენს მას ნოღა ხარბე. მისი როლიც რთულია, რადგან გიორგი აღრე კვდება. იგი სცენიდან მალე გადაის, მაგრამ საჭიროა მისი ხანმოკლე ცხოვრება წარმოადგინო ისე, რომ ბოლომდის ახსოვდეს მაყურებელს. მსახიობი სძლევს ამ სირთულეს და მიზანსაც ვამარჯვებთ აგვირგვინებს. ბასილ უჯარმელ-კუყონდიდელის სახეს მოხდენილად წარმოგვიდგენს ახალგაზრდა მსახიობი ნ. ბეკაღვა, მის დიან მოქმედებაში დამახასიათებლად იკვეთება ცბიერი ადამიანის ფიქრი და მიზანი.

ქების მეტი არაფერი გვეთქმის დედოფალ ესუქანის როლის შემსრულებლის მიმართ. ლ. ბატიაშვილი ნამდვილი ესუქანია, არც მეტი და არც ნაკლები. ასევე საყურადღებოა მეფის ასულის თამარის როლიც ვ. გუბგენიძე. ხათუნის როლის შემსრულებელი გ. დრამაშვილი ხომ კარგია და კარგი, ამ ახალგაზრდა მსახიობმა თუ ასე გააგრძელო, იგი აუცილებლად განამტკიცებს სახელს ღირსეული მსახიობისას.

უფრო მეტი უნდა მოინდომოს ბექას როლის შემსრულებელმა ნ. კოკილაშვილმა. მის როლს უფრო მეტი სიცოცხლე უნდა ჰქონდეს, მის სიტყვაში მეტი რწმენა და დამაჯერებლობა უნდა იგრძნობოდეს. ბექა საქართველოს ხელისშეწყობა უნდა, ამიტომ მისი სრულყოფილად გამოკვეთა აუცილებელია.

შთაბეჭდავია სპექტაკლის ქორცო, მაგრამ იგი თუ უფრო გააქტიურდება სპექტაკლი მოიგებს.

დამთავრდა იმედითა და მომავლის რწმენით აღსავსე სპექტაკლი. დამთავრდა, მაგრამ მისი გმირები ჩვენს მეხსიერებაში განაგრძობენ ცხოვრებას, კვლავ მათ ბედ-იბლაღზე ფაქრობთ. თეატრიდან გამოდიხართ და ასე გგონიათ „გორგის“ გმირებიც გვერდში მოგვდევნენ და სიამოვნებას კეთილდღეობისათვის ბრძოლის წყურვილს კიდევ უფრო აღვიძრავენ.

ამ დიდ სიამოვნებასთან ერთად მაღლიერების გრძნობაც გუფულებათ მთავარი რეჟისორის რომან აბულაძის მიმართ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის რომ თთარ ჩხეიძის „გიორგი“ მაყურებლის გულამდის მისულიყო.

რეთი ნანა უმღერა ფთთის სახელმწიფო თეატრმა, იმედია, ეს პიესა ჩვენი დედაქალაქის კარგბსაც შეაღებს.

# ჩემი შთაბეჭდილება აქი გოლინსკი

ამ შენიშვნებს ცხელ გულზე ვწერ. მე ვნახე ბევრი რამ. ვნახე პირველად, მაგრამ ეს არ არის ტურისტული შთაბეჭდილებები; საქართველო ხომ მართო დასათვლიერებელი ქვეყანა არ ვახლავთ. საქართველო გვიბიძგებს დაუფიქრებელ ბერს საკითხს.

არც დროა და არც ადგილი, რომ ვწერო ყოველივე ამის შესახებ; ამიტომ მომიტყევეთ ეს ჩემი მცირესიტყვაობა და აღწერილობის სიძუნწე.

უნდა დავიწყო მეტად პირადული საკითხით. ბავშვობიდანვე მიტაცებდა ძველი ელდა — ჩემი ევროპული ცივილიზაციის აკვანი და კანონმდებელი. ნათლად ვერ წარმომიდგენია საინდან აღმოცენდა ასეთი დაინტერესება. შესაძლოა ეს იყო იმ დროს ჩემს ირგვლივ გაბატონებული ფაშისტური პარზარსობის წინაღმდეგ მიმართული მოვლენა.

ყოველ შემთხვევაში, ჩემს შემდეგ ყველგან და ყოველთვის ჩემს ოცნებაში წარმოშობილ ელდას დავეძებდი მთელ მსოფლიოში (განა საქაროა დავძინო, რომ მე იგი ვერ ვიპოვე თანამედროვე საბერძნეთში) და სრულად მხოლოდ საქართველოში აღმოვაჩინე, თანამედროვე ქვეყანაში, რომელიც დღეს სოციალისტური გარდაქმნების დინამიკით, მაგრამ, ამავე დროს, თავის ზნე-ჩვეულებებში შესანიშნავად ინარჩუნებს ტრადიციებსა და ადამიანებში იმ კულტურის ძვირფას თვისებებს, რომელმაც მისცა მსოფლიოს ჰომიარსი, ესქილე, პლატონი. რად მოხდა ასე? არ ვიცი. მეტად მცირეა ჩემი ცოდნა. შესაძლოა, რომ იმ ქვეყანაში, რომელიც თანახმად ქართული ლეგენდისა „უფალმა თვისთვის დაიტოვა“, ადამიანი ბავშვობიდანვე იმსკვალედა სილამაზის, ღირსების, წესრიგისა და პარმიონის ვრცობით.

შევიცდებოდი უფრო ფართოდ განვმარტო ეს იმ განუყოფელი მოვლენის შემდეგობით, რომელსაც ქართული სუფრა ეწოდება. მე არაერთხელ ვმჯდარე ამ სუფრაშთან. მე წარმოვიდგინე და დავინახე მასში პლატონის „ნაღიმი“, სადაც თამადად თვით სოკრატე იყო. მაგრამ ამით არ ვათავებულა საქმე. ქართული სუფრა ევროპული თეატრის პირველსახეა. ქოროს ზელმძღვანელი კორიფე-თამადაა, რომელსაც შემოჰყავს სცენაზე ცალკეული აქტორები. სტუმრები და ნაღიმის მონაწილეთა ქორო, რომელიც რიგრიგობით აღწერს ამა თუ იმ პირს, აღრამატიზირებს მის ღირსებებს, მაგრამ არც ლამაზ სამოსელში მორთული ირონიასა და კრიტიკას აკლავს...

დავებრუნდეთ დღევანდელ დღეს. ჩვენ ვნახეთ 11 სპექტაკლი. თბილისში, სოხუმში, ქუთაისში და გორში; ზოგი სპექტაკლი ნაკლებად მოგვეწონა, ზოგი კარგი იყო, ზოგიც შეგნიერა, ხოლო ერთი მათგანი — დიდებული. ამრიგად, შეიძლება ვილაპარაკოთ სინთეზზე. შეიძლება ვცადოთ ზოგიერთი განზოგადოების ფორმულიზება:

1. თეატრი მდიდარია ავტორთა, რეჟისორთა და სცენოგრაფთა ტალანტებით. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ შეფარდებას მოსახლეობის რაოდენობაშთან, მაშინ საკირო იქნებოდა გვეხზარა ფორმულირება — ფანტასტურად მდიდარი. და მართლაც, მე რომ მოვიხილომე იმ თეატრალურ მოღვაწეთა ვეარების ჩამოთვლა, რომელთა ნამუშევრებიც ვნახე და რომელთაც ჩემი ღიარება, პატივისცემა და გაცემა მოიპოვეს, მაშინ ხომ მანქანაზე დაბეჭდილი მთელი ერთი გვერდი დასჭირდებოდა, — და ეს იმ დროს, როდესაც მხოლოდ 11 სპექტაკლი ვნახე და, როგორც უკვე ვთქვი, — არა სპეციალურად შერჩეული, არამედ ერთგვარი საშუალო დონის გამოხატეული სპექტაკლები.

2. ესაა თეატრი, რომელიც ვაოცებთ სტილითა, კონვენციითა და პირობითობათა სხვადასხვაობით. მე ამან მეტისმეტად გამაყვირვა. აი მაგალითად: ერთ დღეს ზ. ფალიაშვილის კლასიკურად დადგმული ოპერა „აბესალომ და ეთერა“. ხოლო მეორე დღეს — შშვენიერი, კვიანური არაოცენციონალური ბალეტი „ამალეტი“... ასეთი სხვადასხვაგვარობის მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ავიღოთ თუნდაც საქართველოს წამყვანი თეატრები — რუსთაველის სახელობის თეატრი და მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. მე არ ვლაპარაკობ განსხვავებაზე რეპერტუარის მხრივ, ამის მიღწევა ადვილია, — მე ვლაპარაკობ აქტიორული სტილისტიკის სხვადასხვაობაზე. როდესაც ვუყურებდი კოტე მახარაძეს „ღრმ კარლოსში“ მე არ მჭირდებოდა ინფორმაცია, რომ იგი ეხლახანსაა გადმოსული რუსთაველას სახელობის თეატრიდან, რადგან მისი იუველირულად ზუსტი ძანრი მკვეთრად განსხვავდებოდა მარჯანიშვილებების მსუყე და ფართო აქტიორობისაგან.

<sup>1</sup> შლონელი რეჟისორი. დაწერილია საგანგებოდ ჩვენი თურნალისთვის. მიუძღვება მცირედი შემოკლებით.



## გიორგი გეგეჭკორი

ნატა დავითიძე

**დღეს** იგი საქართველოს სახალხო არტისტია. აღიარებული, პატივისცემით გარემოცული. მაცურებელი ინტერესით მოელის მასთან ახალ შეხვედრებს, რადგან დიდიხანია ირწმუნა მისი ძალა, ნიჭი, შესაძლებლობანი.

„ჩემი საყვარელი სტუდენტი“, „საუკეთესო მოსწავლე“, „სასტრეელი პარტნიორი“, „ჩემი საყვარელი მსახიობი“, „მართალი კაცი და შემოქმედი“, — აი, სიტყვები, რომლითაც ესმაურებიან მის სახელს აღმზრდელი პედაგოგები, რეჟისორები და მეგობრები, თანამოღვაწეები.

გიორგი გეგეჭკორი — ეს სახელი 28 წელია უკავშირდება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია თეატრში ხორცშესხმულ რვა ათეული სცენურ სახეთა სიცოცხლეს ითვლის. ხასიათები, რომლებიც მისთვის დამახასიათებელი მკაფიო, ინდივიდუალური ხელწერით არიან აღბეჭდილი მაინც ვერავითარი ჩარჩოთი ვერ ერთიანდებიან. თვით ქანობრივად ერთგვაროვანი სახეებიც კი მკვეთრად, ან ზედმიწევნით ნიშანდობლივად განსხვავებული არიან ურთიერთისაგან, უაღრესად ფერადოვანია, მსუბუქი იუმორით დაწყებული, ხალისიან ლალ კომედენტობასა, მკვეთრ გროტესკულობასა და მძაფრ შარქამდე. გვიხსენოთ: გლუმოვი (ოსტროვსკი „ზოგჯერ ბრძენი შეცდება“), დონ სეზარი (დიუმანუა, დენერი — „დონ სეზარ ლე ბაზანი“), მგელი (გ. ნახტორიშვილი — „ქანკრაქა“), ბლავი (ნუშიჩი — „ფილოსოფიის დოქტორი“) ექვთიმე ქათამაძე (ე. ბუაჩიძე — „ამბავი სიყვარულისა“). აქვე უნდა დავუმართო ღირიელობა, სიმსუბუქე, პოეტურობა, თუმცა ყველა თვისების ჩამოთვლა შორსაც წავიყვანს და მისი შემოქმედებითი ხერხის ფაქიზი ნიუანსებისადმი ზუსტი სახელწოდების პოვნა შეიძლება გავვიჭირდეს კიდევ. მსახიობი ისეთი ფარული, თითქოსდა უმნიშვნელო შემობრუნებით ახერხებს სრულიად სხვა სახედ გარდასახვას, შეცვლას, თითქოს ხელახლა დაბადებულიყოს.

მისი შემოქმედებითი პალიტრა მრავალფეროვანია, ბიოგრაფია კი რადიკალურად განსხვავებულ გმირთა „ერთობაა“, დრამატულიდან ტრაგიკულ საწყისამდე. კვლავ შეგახსენებთ: ბარათაშვილი (მთხ. მრეკლაშვილი — „ბარათაშვილი“), ბახვა ფულავა (გ. წერეთელი — „პირველი ნაბიჯი“), ბატონიშვილი ივანე (სოლოვი-



ოვის — „დიდი ხელმწიფე“), კულჩაიცი (მალიარესკი — „ქარიშხლის წინ“), გაიოზ გაღალენდია (ლ. ქიანელის — „ტარიელ გოლუა“), პამლეტი (შექსპირი — „პამლეტი“), კაცი მანტიით (კოპოლტი — „როცა ასეთი სიყვარულია“), დენფორტი (მილერი — სეილემის პროცესი“), პლატონ სამანოშვილი (დ. კლდიაშვილის — „სამანოშვილის დედინაცვალი“) და სხვა.

ყოველი გმირი მსახიობის შემოქმედებითი სიცოცხლის, პიროვნების გარკვეული ნაწილია. გ. გეგეჭკორის ყურადღება და ძალა უდიდესი მონღომებით ნაწილდება ყოველ როლზე დრამატურული ხარისხობების მიუხედავად. მის მიერ განსაზღვრებულ მხატვრულ სახეებს მკვეთ-

რად აერთიანებს ინდივიდუალური შემოქმედებითი ხელწერა. ამ თვისებას გ. გეგეჭკორის, როგორც მოქალაქის, მტკიცე პოზიცია განსაზღვრავს. მსახიობ-მოქალაქის პოზიცია, თვალსაზრისის აპრობებს იმ თანამედროვე ხედვას და ხასიათის წარმოსახვისათვის შერჩეულ მხატვრულ ხერხების გამოყენებას, რომელსაც მიმართავს იგი ამა თუ იმ როლზე მუშაობისას.

მსახიობი თეატრის სიკვრივით ცხოვრობს. ამდენად, ემსახურება, ემორჩილება ყოველ მოთხოვნას, რომლის შესრულებაც მისი თეატრისათვის აუცილებელია. უღარესი პასუხისმგებლობის გრძნობა, შესაძლებელიდან მაქსიმუმის მოტანა, ხასიათის გახსნის ფსიქოანალიტიკური უნარი, რომელიც ყოველთვის მყარ ლოკაციაზე დაფუძნებული, სასურველ მსახიობად აქცევს გ. გეგეჭკორს ყოველი რეჟისორისათვის. იქნებ ამიტომაც, სტუდენტობის წლებიდან დაწყებული დიდ ყურადღებას უთმობდნენ ნიჟერ მსახიობს რეჟისორები და. ალექსიძე, გ. ტოვსტონოვოვი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, შემდეგ მ. თუმანიშვილი, ა. დვალისვილი და სხვ. მუდმივი ძიება, თანამედროვე მეტყველ სამუშაოზეთა გამოყენება, შესანიშნავი პლანტიკა, იმპროვიზაციის უნარი, პროფესიონალიზმი — ის თვისებებია, რომელიც გ. გეგეჭკორთან მუშაობის სურვილს და ინტერესს უღვიძებს ახალგაზრდა რეჟისორებსაც. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ მსახიობის ბოლო მიღწევები ახალგაზრდა რეჟისორთა სახეობებთანა დაკავშირებული — რ. სტურუასა და თ. ჩხეიძისთან.

გ. გეგეჭკორის მიერ ბოლო წლებში განსახიერებული როლებიდან განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოირჩევა პლატონ სამანიშვილის და მონარხელის მხატვრული სახე სპექტაკლში „სამანიშვილის დედინაცვალი“ (თ. ჩხეიძის და რ. სტურუას დადგმა).

ერთმოქმედებიან ინსცენირებაში მსახიობს სამი სხვადასხვა ფუნქცია აკისრია: დამთავლიერებლის, მონარხელის და პლატონ სამანიშვილის წარმოსახვისა. მხატვრული სახის ასეთმა გააზრებამ, შეიძლება ითქვას, ურთულესი როლების გვერდით დააყენა სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მთავარი როლი. და თუ იმასაც ავღნიშნავთ, რომ მსახიობს სულ რამდენიმე წამში უხდება ხორცმუსხმა ზემოთ ჩამოთვლილი სახეებისა, უღარესად პირობითად მოცემულ სცენურ გარემოში, მით უფრო თვალსაჩინო გახდება გ. გეგეჭკორის ძალა და გარდასახვის ოსტატობა. მავალითისათვის სპექტაკლის ექსპოზიციაც კმარა.

სცენაზე, რომელიც დ. კლდიაშვილის სახელმუშეუმს წარმოადგენს, შემოდინ დამთავლიერებლები. ისინი მოწიწებით იშლებიან დარბაზის სხვადასხვა მხარეს. ერთი მათგანი ნელა

უახლოვდება თაროს, რომელზეც მუშაობდა თხზულებანი გამოფენილი, იდებს წიგნს, გადაშლის და თითქოს თავისთვის იწყებს კითხვას. ასევე ბუნებრივად მიხრობელად ქცეული, ტექსტის მოწოდების პარალელურად უახლოვდება სტენდს, რომელზედაც „ქართული ტანსაცმელი“ გამოფენილი, ჩამოხსნის ყაბალას და შროიანად მოიკვებებს მხარზე. მიუბრუნდება მონარხელის ტექსტით ავანსცენაზე მდგომ მამაკაცს, რომელიც დიმილით აბოლებს ყალიონს და უეცრად პლატონ სამანიშვილი აღიშართება მასურებელთა თვალწინ. „მლუპე მამა? — მლუპე? დანას მიერი ყელში?... რატომ მიმეტებ შენი ჭირიმი?“ — ცოცხლდება პლატონი, თანამედროვე კოსტიუმში, თითქოს დღევანდელი ცხოვრებიდან აჭრილ სცენაზე, რომელსაც გასული საუკუნის სურნელებაც დაკრავს და მინც მკაფიოდ ეტყობა დღევანდელი დღის კვალ, ორიოდ წამში პლატონი ქრება და ყვავე მონარხელის განგაზობის საუბარს, „ქოვის წარმოსთქვა პლატონმა და ხანაწყვეტილმა უნუგეშოდ ხელება ვაშალა“, და ისევ პლატონ სამანიშვილი ავრძელებს დიალოგს მამასთან.

შინაგანი გარდასახვის ოსტატობა განსაკუთრებით საინტერესოს ხდის გ. გეგეჭკორის ამ როლში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სპექტაკლში ხაზგასმით თამაშდება გარდასახვისთან ერთად მსახიობის „დამოკიდებულება“ მხატვრული სახის გააზრების, მისი ხორცმუსხმისადმი და პლატონ სამანიშვილის ხასიათის განვითარების პროცესის ჩვენებისას. გ. გეგეჭკორის მიერ უფაქიზესი ნიუანსებითაა ნაჩვენები გვირის ხასიათის ბუნების ცვლილება მშვიდი, მორიდებული, მართალი ადამიანიდან გაბორტებულ პიროვნებად, რომელსაც შეუძლია ადამიანის მოსაკლავად აღმართოს ხელი.

რეჟისორთა მიერ თანამედროვეობით აქცენტირებულმა ხედვამ, „ადამიანთა ურთიერთობის“ კლდაშვილისეული ასახვის მოწოდებამ, „ცრემლიანი სიკვლის“ განწყობის შეგრძნების და მისი დამკვიდრებისათვის მონახულმა ზუსტმა გამომსახველობითმა ხერხებმა, რომელიც ასე ბუნებრივად მიესადაგა ავტორისეულ ხელწერას და ასეთი ოსტატობით იქნა განზოგადებული მსახიობთა მიერ გამარჯვება განაპირობებს. მასურებელმა მიიღო და აღიარა გ. გეგეჭკორის პლატონ სამანიშვილი.

მის გვერდით ყოფნა სიამოვნებს ყველა მსახიობს. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დღეს აღიარებულია, რომ გ. გეგეჭკორი საუკეთესო პარტიორია, რთული დიალოგის წარმართვის ოსტატი. პარტიორი, რომელიც არასოდეს ცდილობს მიიპყროს მასურებელთა ყურადღება და მიუხედავად ამისა,



რომ გამარჯვება და მარცხი, სრული კანონზომიერებით ენაცვლებიან ერთმანეთს გ. გეგეჭკორის ცხოვრების გზაზეც, მშვილდ ზღვება და აანალიზებს ორივე მოვლენას უპირველესად თავად მსახიობი.

დღეს მისი შემოქმედება მარტო თეატრში მოღვაწეობით როდი იფარკლება. გ. გეგეჭკორის იწვევენ რადიოსა და ტელევიზიაში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კინოსტუდიებში. იგი საუბრობს ყველგან და ყოველთვის, რადგან სრულად პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც

დღევანდელ თეატრს, კინოხელოვნებას ენიჭება ცხოვრება, მაყურებელი მსახიობს უყენებენ.

თანამედროვეობის განსაკუთრებული შეგრძენებითაა დაჯილდოებული გიორგი გეგეჭკორი — ქუმარიტად თანამედროვე ხელოვანი. მან იცის, რომ შემოქმედი უნდა მისდევდეს დროს.

ამ რწმენით მოაზივებს მსახიობი, ამკვიდრებს რა თავისი შემოქმედებით ადამიანის ძლიერების, ნათელია და ამაღლებულის საწყისის დაღვებას.

## პირველი შთაბეჭდილება გურამ ბატიაშვილი

**რუსთაველის** თეატრის საშუალო თაობის მსახიობები უფროსი თაობის ზღვრბლს ნელ-ნელა მიუახლოვდნენ. ჯერ სულ ახლახან ამ თაობის ერთ-ერთი მეთაური მიხ. თუმანიშვილი ნახევარი საუკუნისაა გზადა, ახლა კი ამ თაობის ჩინებული წარმომადგენელი გიორგი გეგეჭკორი შესრულდა 50 წლისა.

რუსთაველის თეატრის ე. წ. საშუალო თაობა საკმაოდ გამოკვეთილი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. მათ ძიებებთან და მიგნებებთან დაკავშირებულია ქართული თეატრის ბევრი მიღწევა, მისი განვითარების პროცესი და ამ პროცესში შენიშნული სწორი ხაზები თუ ზიგზაგები.

ამ თაობის გზა ხელოვნებაში არ ყოფილა იოლი. მათ თეატრში მოსვლა და შემოქმედებითი მეობის დამკვიდრება მოუხდათ მშჴნი, როცა რუსთაველის თეატრის კულისებში ჩვეულებრივად მიმოდიოდნენ ჩვენი დროის დიდი მსახიობები, მიმოდიოდნენ ბრწყინვალე აქტიორული ნიშით დაჯილდოებულნი თუ გამოცდილნი. არც თუ ძალიან იოლი იყო აკაკი ხორავასა თუ აკაკი ვასაძის, ხოლო შემდეგ სერგო ზაქარიაძისა და სხვათა ვერძით დაგემკვიდრებინა შენი შემოქმედება. ასე რომ, გიორგი გეგეჭკორსა და მის თაობას ხელშეშახები, რეალური სირთულეების გადალახვა მოუწევდათ, რომ თავისი ნაღაწიე წარმოეჩინათ. და აი, ნიჭმა, შრომამ გზა გაიკაფა, გაიკაფა თვით იმ დიდი მსახიობების გულებისაკენაც.

გიორგი გეგეჭკორის ერთი როლი ჩემი ერთ-ერთი პირველი წარუშლელი შთაბეჭდილებაა. საშუალო სკოლის მოსწავლემ იგი პირველად ვნახე მიხ. მრევლიშვილის „ბარათაშვილიში“.

რატომღაც მოხდა ისე, რომ მე შემდეგ არ შემიწყვლია ამ სუბტექსტის ღირებანი, არ ვიცი თეატრმკოდნებამ რაგორი შეფასება მისცა რეჟისორულ ნამუშევარს, აქტიორულ შეს-

რულებას... არც ერთი ამოგანი არ ვიცი, მაგრამ შემდგომ წლებში, როცა მე ესწავლობდი ბარათაშვილს, ხოლო უფრო გვიან — ვლექობადი მასზე, ასოციაციით მედამ გ. გეგეჭკორის მიერ შექმნილი სახე მედგა თვალწინ.

რა მეოცნებე იყო, რა მსუბუქი, რა ნაღვლიანი, როგორი შმაგა და, რაც მოთავრია, პოეტური!

ყოველ ჩვენგანში არსებობს პოეტის თავისებური მოდელი, თავისებური სახე და ჩვენ ზმირად ვლედოვთხით ამ სახის სხვათა მიერ შექმნილით „გამდიდრებას“, კორექტივების შეტანას, რადგან არ გვინდა წარბხცოცს, დანერგეს ჩვენს მიერ შექმნილი და ეს ბუნებრივიაა. მაგრამ რატომღაც მგონია, რომ გ. გეგეჭკორმა ყველას წარმოსახვაში არსებული ბარათაშვილი ყვეალა და სამუდამოდ ჩაასახლა ის, რომელიც მან შექმნა ეს იმიტომ, რომ ბარათაშვილი იყო ქუმარიტი, სახიერი. მე დიდხანს გამყვა და ახლაც ყურში ჩამესმის ბარათაშვილი-გეგეჭკორის მოწოლოგი: „გუნდად მზის სხივებს, მოვლვარეს მთაწმინდის თავზე, და დღე მზიანი, დიღო ღმერთო, შენ გამითენე“...

ეს იყო პირველი, წლებისაგან წარუხცოცელი თეატრალური შთაბეჭდილება. მას შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა და ეს შთაბეჭდილება ვერ შთანთქმა დროში.

ყოველივე ამაში, რასაკვირველია, დიდი იყო გ. გეგეჭკორის მასწავლებლის, ცნობილი რეჟისორის დიდი ალექსიძის წვლილი, რომელმაც ეს სუბტექსტი დადგა.

და დღეს, როცა გ. გეგეჭკორი ნახევარი საუკუნისაა შესრულდა, მე მასხენდება მსახიობის მიერ განვლილი გზა, მასხენდება მისი ბრწყინვალე როლები და ერთგვარი საყვედურითაც ვიხსენებ რეჟისორებს, რომლებმაც სრული დატვორთვით, მაქსიმალურად ვერ გამოიყენეს გ. გეგეჭკორის ტლანტი და მსახიობს არ შეაქმნენ უფრო მეტი ბრწყინვალე სახეები. ზოგჯერ



ისე ავუვლით ხოლმე გვერდს ვანძის, რომ თვალსაც არ დავახამხამებთ, წლების შემდეგ კი ლამის თვალები დავითხაროთ ოზურა-ვიშით.

მაგრამ ახლა, როცა გიორგი გვეგვეკობი შე-

მოქმედებითი სიმწიფის ასაკში შევედა, გვერდის მისი შემოქმედება მეტი სიღვარით წარმომადგენლობდა ჩინდება, ვანძს თვალს გავუხსრობეთ და სხვებსაც ვაგრძნობინებთ მის სიმდიდრეს.

## დავით ჩაჩანიძე ალექსი ბარნოვი

ძველი სცენის მოყვარეს დათიკო ჩაჩანიძეს 13 ოქტომბერს დაბადების 75 და სასცენო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

დავითი დაიბადა ქ. თბილისში, ხელოსნის — მექუღვე იოსებ ჩაჩანიძის ოჯახში. ცხოვრების პირობების გამო დავითს სკოლაში არ უსწავლია. ბავშვობიდანვე შრომაში ჩაბმულა, 1902 წელს იგი დამდგარა მეკრავთან შეგირდად. წერა-კითხვა მაღაზიების აბრებით და ცირკის აფიშებით ისე კარგად შეუესწავლია, რომ წერა-კითხვის უცოდინარი ხელოსნები მას გაზეთებს აკითხებდნენ.

ამ საქმიანობასთან ერთად დავითი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, მისი თაოსნობით არის გაყვანილი თელეთ-წალაპყურ-კუ-მისის სარწყავი არხი და მისი თაოსნობით შეერქვა თბილისში — შუაბაზარში არსებულ განათლების ქუჩას იეთიმ-გურჯის ქუჩა.

მეორე სამამულო ომის დროს, 1941—1945 წწ. დავითი საკურორტო სამმართველოში მუშაობდა, ომის პერიოდში იგი დიდ დახმარებას უწევდა ომში წასულ თანამშრომლების ოჯახებს.

სასცენო საზოგადოებრივი მუშაობის საქმეში დავითი აქტიურად 1921 წლიდან ჩაება. დავითი მეტწილად ძველი თბილისის პერსონაჟებს, — ნიკო გოცირიძის და ვასო აბაშიძის ამბბლებს ასრულებდა მუშათა კლუბებში: ავლაბარში, ხარფუხში, ორთაქალაში, ნავთლულში და სხვ. მას ხშირად მიუღია მონაწილეობა აექსენტი ცაგარას „ხანუმაში“ ელი-საბად ჩერქეზიშვილთან ერთად, შეუსრულებია აკოვას როლი, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლში“ უთამაშია საქის როლი, ალექსანდრე ყაზბეგის „არსენაში“ სირაჯის როლი, ხოლო სუნდუქიანის „პეპოში“ ზიშიზიოვის როლი და ა. შ. სადაც უნდა ემუშავა და საქმიანობის დატვირთულიც უნდა ყოფილიყო, თეატრს არ ივიწყებდა.

დავითი დიდი მოტრფიალვა ძველი თბილისური მუსიკისა და სიმღერებისა, მის რეპერტუარში: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული 150 სიმღერამდე შედის. მათ რიცხვშია მუხამბაზი, ზაიათები და შიქსტები, ჩვენნი ცნობილი მგოსან-ამბლები: საიათფასი, ს. და-

როვასი, გვიშვილის, ვაჩიხიარელის, ჰაზირას, იეთიმ-გურჯის, ბეჩარა ვასოსი და სხვ. მან კარგად იცის ქალაქური ფოლკლორის ამსახველი ჩვენი დიდი პოეტების გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჰაქევაძის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა სასიმღერო ლექსები.

დავით ჩაჩანიძემ, დავით გვიშვილის ასა წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე, რომელიც მოეწყო მწერალთა სახლში 1967 წ. თავისი გამოსვლით მაცურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. მან დღუღუჯე ტვილად დაამღერა გვიშვილის ლექსები: „ღვინო კახტრო“, „ოშელი“, „ახ, მთავარე, მთავარე“ და სხვა.

დავითის ღვაწლი ძველი თბილისელი მგოსან-ამბლებისა და მოამაგე ადამიანების მიმართ მარტო ამით არ ამოიწურება, იგი ყოველთვის მხარში უდგას ყველას, ვინც კი ძველი თბილისის შესახებ რამეს წამოიწყებს.

1960 წლის 2 ივნისს იეთიმ-გურჯის ძეგლის გახსნის დღეს პოეტ-აკადემიკოსების — იოსებ გრიშაშვილისა და არაკული აბაშიძის სატყეების შემდეგ დავითმა ტკბილა დღუღუჯის ფონზე დაამღერა იეთიმის ლექსი:

„...ბევრი ხალხი მომიგონებს,  
როცა ამქვეყნიდან გავალ,  
მე სიყვარულს თან წავიღებ  
უმილისოდ მე არ წავალ“ და სხვ.

დავითს ამ გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

1970 წლის 30 ოქტომბერს დავითი ყოფილა ალექსანდრე ჰაქევაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში, სადაც უამრავი ექსკურსანტები ყოფილა. მას ხალხისთვის მოულოდნელად წამოუწყია ა. ჰაქევაძის სასიმღერო ლექსი: „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, და დამსწრეთა შორის დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია. დავითის ამ გამოსვლაზე წინანდლებს უთქვიათ: „რაც ეს სახლი აშენებულა აქ არავინ შემოსულა ასე მხიარულად“. ეს თარიღი დათას იქაური მაგანოლის ფოთოლზე აქვს დაწერილი და დღესაც სათუთად ინახავს მას.

ნაკლები ყურადღება არ დაუქმსახურებია დავითის გამოსვლას ილია ჰაქევაძის ყვარლის სახლმუზეუმში. იქ დავითს უმღერია ილიას ლექსი „ერთბელ ვიხილე ბაღში ყვავილი“.

დავითი დიდი შოტრფიალეა ძველი თბილისისა და უყვარს მისი განუმეორებელი წარსული, ძველი მგონებისა და აშუღების აზრანი ლექსები და მუჰამბაზები, მას დღესაც სათუთად აქვს შენახული ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, იოსებ გრიშაშვილის, პაზირას, იეთიმ-გურჯის, დავით გივიშვილის, გიორგი სკანდაროვის და სხვათა სიმღერები.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დავითი დღესაც ვანაგრძობს საზოგადოებრივ საქმიანობას, განსაკუთრებით კი თეატრალურს. იგი ახლაც აქტიურად მონაწილეობს ძველ სცენისმოყვარე ამხანაგებთან ერთად, გორკის სახელობის კლუბთან არსებულ სახალხო თეატრში, სადაც პერიოდულად იღვებება ძველი პიესები: „არსენა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „პეპო“, „ხანუმა“ და სხვ. აი რა არის

ნათქვამი ამის შესახებ გაზეთ „ვეჩერნი ლისის“ 1972 წლის 28 იანვრის ნომერში სათაურით: „ოთხი პრემიერა“. „გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრმა დამთავრა მუშაობა ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების, — „არსენა“ ინსცენირებაზე, სპექტაკლის დადგმა განხორციელებულია რეჟისორ ვ. ვაშაძის მიერ. მხატვრული გაფორმება ა. ჭემილიშვილისა. მთავარ როლებში გამოდიან სახალხო თეატრის არტისტები: დ. ჩაჩანიძე, შ. ჯანდიერი და სხვ. მაყურებლის დიდი გამოხმაურება ჰპოვა დავითის გამოსვლამ.“

დავითი მეკობრებასა და მაყურებლებში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ყველა აჯახებს და პატივს სცემს დაუღალავი, უანგარო შრომისათვის.

## მიქაძენა პალეიან გუნიას ხსოვნას

ამას წინათ თბილისის ხელოვნების მუშავთა სახლმა გამართა ამ სახლის ერთ-ერთი დამაარსებლის ვალერიან გუნიას ხსოვნის საღამო.

ვალერიან გუნია ქართული თეატრის კორაფეთა რიცხვს ეკუთვნის. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო და წარუშლელი კვალი დააჩნია ქართული თეატრის აღორძინება-განვითარებას.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალურა საზოგადოების თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. ვრცელი და საინტერესო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე. მან ილაპარაკა ვალერიან გუნიას მდიდარ მემკვიდრეობაზე, დაახასიათა იგი როგორც ჩინებული მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, რეაქტორი-გამომცემელი, ჟურ-

ნალისტი, უპართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწე და იშვიათი მოქალაქე.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვადინენ პროფესორი დ. ჯანელიძე, ხელოვნების დამახებრებელი მოღვაწე დ. ჩხეიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მკედლიძე, თეატრმცოდნე, ხელოვნების დამახებრებელი მოღვაწე ნ. ურუშაძე, აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მერი ნაკაშიძემ, შოთა კენაძემ, რესპუბლიკის დამახებრებელმა არტისტმა ნათელა კარვალაძემ, მსახიობმა ზაზა ბაწულაშვილმა და ანზორ კავსაძემ მომღერალთა ჯგუფით.



## პალკინან გუნია და ქართული მხატვრები

უჩა ჯაფარიძე

**პალკინან გუნია** იყო დიდი და მრავალ-მხრივი საზოგადოებრივი მოღვაწე; მისი ინტერესი, დაუცხრომელი საქმიანობა სწვდებოდა ჩვენი კულტურის ყოველ დარგს და ხელს უწყობდა მის განვითარებას, მის დაახლოვებას ხალხთან.

ქართული მხატვრობა დიდად დავალებულია ვალერიან გუნიას მხარდაჭერით, იმ დიდი სარბიელის შექმნით, რაც მან ქართულ ეჭრნალ-გაზეთებში და თეატრში მხატვართა თანამშრომლობით გზა გაუხსნა ქართულ პორტრეტულ მხატვრობას, კარიკატურას, თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობას და ქართული პერსონაჟული გამოცემები აქცია ქართული მხატვრობის მიღწევითა პროპაგანდისტად.

ვასო აბაშიძის შემდეგ ვალერიან გუნია იყო დასურათებული გაზეთი „თეატრი“-ს რედაქტორი. ვალერიან გუნიას გაზეთი „თეატრი“-ს უახლოეს თანამშრომლად წლების მანძილზე მხარში ედგა უნიჭურესი ქართველი მხატვარი ალექსანდრე ბერაძე, რომელმაც ამ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, გრაგოლ ბრძელაინის და სხვათა პორტრეტები.

ვალერიან გუნია იტალიიდან დაბრუნებულ იალ ბერძენი დაინტერესდა თეატრში მხატვრად მიიწვია; ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროფესიულ დეკორაციულ მხატვრობას, შექმნა ქართული თეატრის ფარდა, რომელაც თავის სუბექტით ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს გამოხატავდა.

სკოლის მერხიდან დაწყებული უახლოესი მეგობრობით იყო დაკავშირებული ვალერიან გუნია ვაგო გაბაშვილთან და ოსკარ შმერლინგთან. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ვალერიან გუნია თავის გაზეთი „ცნობის ფურცელში“, ყოველწლიურ დიდებულ გამოცემაში — „საქართველოს კალენდარი“ და იუმორისტულ ეჭრნალ „ნიშნადურში“ დღითიდღე, წლიდან წლივით აქვეყნებდა ვაგო გაბაშვილის, ალექსანდრე ბრძელაინის, ოსკარ შმერლინ-

გის ნაწარმოებებს; პროპაგანდას უწევდა და ყოველ მხრივ ეხმარებოდა მხატვართა ახალ თაობას, რომელსაც მაშინ მოსე თოთიძე ედგა სათავეში. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდა იაკო ნიკოლაძეს, დავით კაკაბაძეს, ლადო გუდიაშვილსა და სხვებს.

ვალერიან გუნია ვაგო გაბაშვილს შეუკვეთა კედლის მხატვრობა ქართული თეატრის იმ შენობისათვის, რომელიც ილია ჭავჭავაძის თაონობით იყო შექმნილი. ვაგო გაბაშვილი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდა თავის ყრბობის მეგობრის ამ შთამავლებელ თხოვნას და შექმნა რამდენიმე ესკიზი თემაზე „ქართული სცენის ბურჯთა კრებულა“, ამ ესკიზებში სხვადასხვა კომპოზიციითა და ნაირსახეობით გამოხატული არიან ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყვიფანი, ლადო მესხაშვილი; მართალია თეატრის დაწესის გამო ეს შთანაფიქრი ვერ განხორციელდა, მაგრამ ვაგო გაბაშვილის არჩევანს შემოგვიწინა ქართული თეატრის მოღვაწეთა და ქართველი მხატვრების ურთიერთ მჭიდრო თანამშრომლობის ეს უძვირფასესი რელიქვია.

განაკეთებებით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენ ოსკარ შმერლინგის მეგობრობა და ათეული წლების მანძილზე შემოქმედებითი თანამშრომლობა ვალერიან გუნიასთან. თუ ოსკარ შმერლინგის მხატვრობაში აისახა ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თუ მისი კარიკატურა პირველი რევოლუციის წლებში იქცა ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა მეტროლი სულისკეთების გამოხატველად, — ამ მოქალაქეობრივ შემართებაში ოსკარ შმერლინგი გამხნედა, მხარდაჭერას პოულობდა თავის განუყრელი მეგობრის ვალერიან გუნიასთან.

დღეს ჩვენ ვიგონებთ ქართული კულტურის ამ დავალობის შემოქმედს და გვინდა, რომ ის ნათელი ტრადიცია ხელოვნების სხვადასხვა დარგის ურთიერთ დაკავშირებისა, რაც ვალერიან გუნია დაწერდა, დღესაც ცხოველყოფილად უნდა იდგას ხალხის თაობის შემოქმედებით წინსვლას ჩვენი ერის სასახელოდ და სასიამაულოდ.

# სიკო გოსიჩიძე

## გაგული გუნდისაზვილი



**ჩხვის** გამოჩენილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი 1924 წელს წერდა: „თუ სახალხო თეატრი არსებობს — ეს მიეწერება იმ მცირე მუშათა გუნდის ლაშხ სიყვარულს, რომელთა რვალში ნიკო გოცირიძე ყოველთვის წახანგულ ბარიონტად იბრწყინებს“.

ღიანაც, რომ ძვირფასი ქვასავით ბრწყინავდა ნიკო გოცირიძის თვითმყოფადი სასცენო ნიჭი ქართულ თეატრში, ჯერ სახალხო და შემდეგ პროფესიულში, და მისი სახელი დამკვიდრებულია ჩვენი ეროვნული თეატრის ისტორიაში, როგორც განსაკუთრებული ადამიანის, სცენისადმი თავისი უსაზღვრო სიყვარულით და გულის დადებით.

უსაზღვროდ უნდა გიყვარდეს სცენა, რომ გათენებდიან საღამომდე ფიზიკური შრომით მოქანტული, თითქმის დაუსვენებლივ, რეპეტიციანზე წახვიდე — და ასე გაგრძელდეს ოცდარვა წელიწადი. მუშა-სცენისმოყვარენი ქართულ თეატრს ბევრი სხვებიც ჰყავდა, მაგრამ მათი შემოქმედებითი დონე არ ამაღლებულა ჩვეულებრივ სცენისმოყვარულ ხარისხიდან, ხოლო ნიკო გოცირიძე ერთადერთი იყო, რომელიც თავისი ნიჭითა და ოსტატობით მაღალ პროფესიულ დონეზე დადგა და არა თუ უტოლდებოდა ქართული თეატრის პროფესიონალ მსახიობთ, არამედ ბევრ მათგანს სჯობნიდა კიდევ.

საინტერესოა, რომ რევოლუციამდელი პროფესიული თეატრის მეკეთვით არაერთხელ უცდიათ ნიკო გოცირიძის მიწვევა თბილისის ქართულ დრამატულ დასში, კარგი ხელფასიც შემთავრებული — გაცილებით მეტი, ვიდრე ის მძიმე ფიზიკური შრომით შოულობდა, მაგრამ ნიკო გოცირიძემ სახალხო სცენა არ დასთმო. მისი აზრით, ქართული პროფესიული თეატრი მეტწილად ქართული საზოგადოების შეძლებულ ფენას ემსახურებოდა და ღარიბი მშრომელი ხალხისათვის არც თუ ხელმისაწვდომი იყო. მის არ სურდა მოცილებოდა იმ წრეს, საიდანაც გამოვიდა და მოწადინებული იყო მთელი თავისი ნიჭი და უნარი ამ მშრომელი ხალხისათვის გაეჭოთვინა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი, 1921 წელს, ნიკო გოცირიძე პროფესიულ დასში ჩაირიცხა. მოგონებაში წერს, რომ ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ წაშალა ის ზღუდე, რაც აღმართული იყო ძველ ქართულ თეატრსა და სახალხო თეატრებს შორის, ახლა დიდი თეატრიც ხალხისათვის იყო განკუთვნილი, და ამიტომ სიამოვნებით მივიღე რუსთაველის

თეატრის წინადადება დამეწყო ამ თეატრში მუშაობა, როგორც პროფესიულ მსახიობს.

სახალხო სცენაზე ნიკო გოცირიძე „იყო ამ აღუდითობის ერთი მთავარი ძალა, რომელსაც ხელში ეტყრა ხალხთა მაჯისცემა“ და თუ ქართულ სახალხო თეატრს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ქართული თეატრის ისტორიაში, ამაში ერთგვარად გადაწყვეტი როლი შეასრულა ნიკო გოცირიძის მოღვაწეობამ ამ თეატრში, მისმა შეუდარებელმა ნიჭმა და ოსტატობამ. ის გამოდიოდა არა მარტო აქ, სახალხო სახლის სცენაზე, არამედ თბილისის სხვა რაიონებშიც, პროვინციის დრამატულ წრეებშიც და ყველგან საინტერესო სტუმარი იყო.

საბჭოთა სცენაზე ნიკო გოცირიძემ ათი წელიწადი რუსთაველის თეატრში დაჰყო, ხოლო 1930 წლიდან, ვიდრე გარდაცვალებამდე (1949 წელი), მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, აი, აქ. ამ სცენაზე მოღვაწეობდა. ხანგასმით უნდა აღვნიშნოთ ნიკო გოცირიძის ამ პერიოდის მოღვაწეობაში ის გარემოება, რომ იგი 1922 წელს გვერდში ამოუდგა ქართული თეატრის რეფორმატორს კოტე მარჯანიშვილს, იყო მისი ერთგული მიმდევარი და, როგორც გვახსოვს, მწარედ განიცადა მარჯანიშვილის გარდაცვალება. 1933 წელს კოტე მარჯანიშვილმა ამ სცენაზე განაახლა თავისი დადგმა „მისი დაბნელება საქართველოში“, რომელშიც ნიკო გოცირიძე კვლავ გუერქას მთავარ როლში გამოვიდა, ხოლო დადგმის პრემიერაზე თვით მარჯანიშვილიც გამოვიდა სცენაზე უსიტყვო როლში. ეს იყო მისი ერთადერთი და უქანასკნელი გამოსვლა სცენაზე — იგი დამშვიდობა ნიკო გოცირიძის, მთელ კოლექტივს, მავურებულს. ამის შემდეგ გაემგზავრა მოსკოვს დადგმების განსახორციელებლად მცირე თეატრსა და ოპერეტის თეატრში და იქიდან დაფერფლილი დაავიკრუნდა. ამის შემდეგ ნიკო გოცირიძის ცხოვრება და შემოქმედება თითქმის უხალისო შექმნა, სულ ორი თუ სამი ახალი როლი ითამაშა და თანდათან ჩამოშორდა სცენას.

ჩვენ აქ არც დრო გვაქვს და არც საშუალება დამწერლებით გავარჩიოთ ნიკო გოცირიძის შემოქმედება (ღირსი კი არის ეს ნიჭიერადამიანი, რომ შეიქმნას კრებული მის შემოქმედებაზე), მაგრამ ზოგიერთ როლებზე მაინც შეეჩერდებით.

შეუდარებელი იყო ნიკო გოცირიძის მიერ შესრულებული თბილისელ ვაჟარ-ბელოსანთა როლები. ამ როლებში შესრულებაში გამოჩენილ სცენის ოსტატს ვასო აბაშიძეს თითქოს

ტოლი არ ჰყავდა, მაგრამ გვეგონია მის ტოლად ნიკო გოციორიძე მინც თვლებოდა. დაბადებულს თბილისში, ხელისინის ოჯახში, გაზრდილს სწორედ იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდა და საქმიანობდა თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა მიერთადი ფენა, ნიკო გოციორიძეს ზედმიწევნით ჰქონდა შენარმული და შესწავლილი მათი ბუნება, ხასიათი, ადამ-წესები, მათი თავისებური კოლონიალური მეტყველება. შესანიშნავად თამაშობდა ნიკო გოციორიძე აკოფას როლს „ჩანუმაში“, ავეტიქას „რაც გინახავში“, ზიმზიმოვს „პეპუაში“, მახუთაიანს „ციმიბირელში“, გუერქას „მზის დაბნელებაში“. არშაკ მინაიის „ამერიკელ ძაღვი“, სავოს „მსხვერპლში“ და მრავალ სხვებს. მაგრამ, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, ნიკო გოციორიძის შემოქმედებაში მთავარი თბილისური ტაპები არ იყო. მის რეპერტუარში ასეთი როლები დაახლოებით ერთ მესამედს თუ შეადგენს. ნიკო გოციორიძე არა ნაკლებ შესანიშნავი და ბრწყინვალე იყო სხვა კომედიურ როლებშიც. განთქმული იყო ექიმ გრუშნევსკის როლის შესრულებით ტრიფონ რამიშვილის ცნობილ პიესაში „მეზობლები“, ბერდოსანიძისა შალვა დადიანის „შენი ქირიში“, ნიქიერად თამაშობდა ოსიანს და გოროდინის როლებს გოგაოლის „რევიზორში“, სტუდენტ ონუფრის ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისაში“, სკაპენის მოლიერის „სკაპენის თინებში“, შვაგას ოსტროვსკის „უღმარაყოფი დასჯაში“, ჟურდენის მთავარ როლს მოლოერის „გაზნაურებულ მღაბრაში“, მოხუც მეგონის როლს „გმირში“, პოლონიუსს „ჰამლეტში“ და მრავალ სხვას.

გარდა ამისა, ნიკო გოციორიძე წარმატებით გამოდიოდა ესტრადანზე, როგორც თბილისური ყვილის სცენების წამყობნავი. ამასთანავე სახუშარო კულუტების შესრულებაში ვასო აბაშიძის ერთადერთი პარტნიორი იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც მეოცე საუკუნის დამდეგს თბილისში ოსური სცენისმოყვარეთა წრე ჩაისახა ნიკო გოციორიძე მუდმივად რეჟისორობდა ამ წრეს და ასეთი უნაგარო დახმარებით ოსური თეატრის მოღვაწეთა დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რევოლუციამდეღ პერიოდში ნიკო გოციორიძე სახალხო სცენაზე სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდა, არაფერს იღებდა პროვინციაში გასტროლებს ღროსაც. გზის ფულიც კი არასდროს აუღია.

მუსიკა პატარა ხელფასით ნიკო გოციორიძე იმასაც კი ახერხებდა, რომ თითქმის ყველა როლში ფორტ-სურათებს იღებდა და მომავალ თაობებს შესანიშნავი ფორტ კოლექცია და საერთოდ მდიდარი თეატრალური არქივი დაუტოვა. რომელიც ამჟამად სათეატრო მუზეუმში არის დაცული.

უდიდესად დააფასა საბჭოთა ხელ-სუფლანაკი ნიკო გოციორიძის მოღვაწეობა. 1924 წელს მას გადაუხადეს სასცენო სარბიელზე გამოცემის 30 წლისთავი, მას — მესამეს მუნიციპალიტეტის არტისტის საპატრო წოდება (პირველი იყო ვასო აბაშიძე, მეორე — ვანო სარაჯიშვილი), ავეჯლის აუდიტორიას, სადაც ნიკო გოციორიძემ დაიწყო მოღვაწეობა სახალხო სცენაზე — მისი სახელი ეწოდა, მისი სახელიც ეწოდა ქუჩას, სადაც ცხოვრობდა. მას მიეცა ვარკვეული თანხა უცხოეთში სამოგზაუროდ. გარდა ამისა, თბილისის აღმასკომმა საგრანოზი ფულადი თანხა გადასცა საჩუქრად. მე ბედნიერება მქონდა ყველაფერი ეს მიმელოცა ნიკო გოციორიძისათვის რუსთაველის თეატრში საოუბილო საღამოზე. აღსანიშნავია, რომ საოუბილეო საღამოს ორგანიზატორი კოტე მარჩანიშვილი იყო.

სწორედ ამ იუბილუს დღეებში კოტე მარჩანიშვილმა მიუძღვნა ნიკო გოციორიძეს დიდი წერბილი, რომელშიც მიუღოცა დღესასწაული და გამოთქვა თავისი აზრი მის შემოქმედებაზე. მოკვყავს პატარა ნაწილი ამ საინტერესო დოკუმენტიდან.

სწორედ ამ ვითარებაში იწყება სექტაკლი, შექცამორთულ დარბაზში გაისმის დიქტორის ხმა, გვაუწყებს, რომ ქვეყანას შავი ურჩხული შემოესია. იხსნება ფარდა და სცენაზე გამოდიან დედა და უფროსი ვაჟიშვილი. ნომრეკანი ემშვიდობება დედას, აქვია ოთარიც. სამივენი ოცნებობენ მტერზე გამარჯვებას. მსახიობთა მარ ნარისას ელვასი მრავალჭირანხული, საქმეში დრამად ჩახედული ქალია. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი მიგვიანონებს, მის დიდ ადამიანობაზე, ჰუმანურობაზე. იგი პიესის მთელ მანძილზე ერთი წუთით არ ღალატობს თავის გმირს. ვაყვავივით იტანს გერმანელთა მიერ წამებას, დამცირებას. უღაღად შთამბეჭდავი, მღალაი თვისებების მქონე, ბრძენი და აღწქარებელია თამარ ნარისას ქართველი დედის სახე.

ოთარ ხინველის როლს მესამე საშუალო სკოლის მოსწავლე, სცენისმოყვარე ედიშერ წულაძე თამაშობს. თამამად უნდა ითქვას, რომ მისი დებიუტი კარგი გამოდგა. ედიშერ წულაძის ოთარი გულუბრყვილო, სათანო ყმაწვილია, თავდავიწყებით უყვარს მეორე სამშობლო — უკ-

რაინა, უყვარს აქაური ხალისიანი გოგონა ოქსანა, რომელთანაც სწავლობდა და ბავშვობის წლებს ატარებდა. ე. წულაძის ოთარი უყვე საქმეში ჩახედული კაცივით ფიქრობს მამულის ხვალისებულ დღეზე. უნდა პარტიზანთა რაზმში ჩაერთოს და უფროს მძასავით ურტყას მტერს. დამწყებმა მსახიობმა მშვენიერად გაართვა თავი დაკისრებულ როლს.

უკრაინაში მებრძოლი ქართველი ვაჟაკის სახე შექმნა მსახიობმა იური მგელაძემ. მისი ნომრეკანი მხნე, მტრისადმი შეუთრგებელი, მამაცი მებრძოლია. იგი სულ რაღაც ორჯერ ჩნდება სცენაზე, მაგრამ მკითხველს დიდხანს არ ავიწყლება.

პარტიზანთა რაზმის მეთაურს ნიკოლა კრავჩენკოს კორნელი ჭყონია განასახიერებს. მისი გარეგნობა, ხმა მკითხველს არწმუნებს საბჭოთა მებრძოლის ძლიერებაში.

რაზმის მეთაურს მიჰყვანს ნომრეკანი, ოთარი განაწყენებული რჩება, რომ თან არ წაიყვანეს. მაგადისთან დამჯარი, ხელებში თავჩარგულ ყმაწვილს უკრანელი გოგონა ფეხაკრეფით ებარება. ეს ოქსანაა, რომლის სახეც ლანჩხუთის სასოფლო-სამაგურნეო ტექნიკუმის ლაბორანტმა მანანა კვაჭაძემ შექმნა. მანანათვისაც დებიუტია ეს როლი, მაგრამ მშვენიერად დებიუტა. მისი ოქსანა თავისუფალი, ხალისიანი, მოსიყვარულე გოგონაა.

ოქსანაა და ოთარი უყვართ ერთმანეთი. მათ გული წყდებათ, რომ ერთმანეთს შორდებიან. გოგონა ქალაქიდან მიდის, ბიჭი კი ქალაქში რჩება, მაგრამ ეს გულდაწყვეტა უფრო ბავშვობას ერთად გატარებული წლებითაა ნაკარნახევი და არა სიყვარულით, ამიტომ გადაჭარბებულ გვეჩვენება მათი საუბარი სიყვარულზე.

თითქოს მეორე მოქმედებაც მშრალად იწყება. ვფიქრობთ, მოიგებდა მუსიკის ფონზე რომ ის-მოდეს გერმანელთა ნაბიჯების ხმა. ოთახშიც უწესრიგობა უნდა იყოს. ოთახში უნდა ეციდოს ფარაქები, ეწყოს ზურგჩანთები, ჩემოდნები და სხვა, რაც მკითხველს შთაბეჭდილებას შეუქმნის, რომ ქალაქში მთელი არმიია შემოსული და არა 3—4 გერმანელი.

ნაიცხტური არმიის კაპიტანს მსახიობი გივი ურუშაძე ასახიერებს. მისი კაპიტანი ჰიტლერის ერთგულია, გამარჯვებებით თავბრუდინებული, ამაყი, მკვებხარა, უფროსების მორჩილი, ხოლო



უმცროსების რისხვა. გ. ურუშაძის კაბიტანი ეშ-  
მაკი, მონებრებული გაიფერკაცა.

ნაციტური არმიის პოლკოვნიკის დამაჯერებ-  
ლად თამაშობს ალიოშა ჭობრენაძე.

სულ სხვა თვისებებისაა მსახიობ ტერენტი  
ურუშაძის გერმანელი ჭარბსკაცი. იგი ოხუნჯი,  
ცხოვრებაში ჩახედული, შიშობს, რომ მათი  
ტრიუმფი დიდხანს არ გაგრძელდება და თავს  
ყოველნაირად უფრთხილდება.

კარგია მეორე ჭარბსკაცის როლში სცენის-  
მოყვარე ვაჟა ებრაღიძე.

პეტია მთავრდება იმით, რომ ოთარ ხინველი

საბედისწერო ბილიკით წაიყვანს გერმანიის  
ასეულებს და პარტინანებს ამოაუღებენ.

უყურებ სპექტაკლს და ვრძნობ, მართლაც  
ბევრი უმუშევანით რეჟისორ ვლადიმერ ჩომა-  
ხიძეს, მხატვარ ხსან კუნუქულის, მსახიობებს,  
მთელ კოლექტივს. კარგია გ. ციციშელის  
მუსიკალური გაფორმებაც. შეცვლასა და გადა-  
მუშავებას მოითხოვს დედის წამების სცენა.  
ამოსაღებია პირველი მოქმედების ბოლო აბ-  
ზაცი დიქტორის ტექსტში.

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით  
უთუოდ სპექტაკლი მიივებს.

## თეატრისათვის თავალაგული

### კავლე ხალაპი

**ჩვენმა** ქალაქმა-ქუთაისმა საბჭოთა ხელისუფ-  
ლების წლებში აღზარდა ხელოვნების დარგის  
არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე, სათეატრო საქ-  
მის ორგანიზატორი, ბევრი მაღალიდურ-მხა-  
ტრული სპექტაკლის სულისჩამდგმელი. 20 და  
30-იანი წლების პართულ თეატრში, ჩვენი რეს-  
პუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ამ მუშაობაში  
აქტიურად ჩაებნენ ახალგაზრდა ენთუზიასტები  
და მათ ჩვენი ხელოვნების განვითარებაში მნი-  
შვნელოვანი წვლილი შეიტანეს, მკედრი ნია-  
დაგი შეუქმნეს ახალ თეატრს.

საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი  
მუშაკი იყო ვიორჯი (ჯორა) სამსონის ძე მომცემ-  
ლიძე, რომელმაც, როგორც თეატრალურმა მო-  
ღვაწემ, მუშაობა დაიწყო ქუთაისში.

„განა შეიძლება სიტყვით გამოვხატო, თუ  
რა მომხბველელია თეატრი, რა ჯადოსნურად  
მოქმედებს იგი ადამიანის სულზე. ნახეთ, ნა-  
ხეთ თეატრი, იქ იცხოვრეთ. იქ მოკვდით, თუ  
შეგიძლიათ.“—ასეთი შთაგონებით წერდა გიწი-  
ალური რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი  
თეატრის შესახებ და, ცხადია, იმ მუშაკებზეც,  
რომლებიც თავიანთი რეჟისორულ-სცენური,  
თუ ტექნიკურ-ორგანიზაციული საქმიანობით  
ხელს უწყობდნენ თეატრალური ხელოვნების  
განვითარებას.

კარგი სპექტაკლი დაძაბული და მრავალმხრი-  
ვი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია. როცა  
მყურებელი საინტერესო სპექტაკლის ნახვისას  
გულთბილი ტავით აჯლოდოვებს დრამატურგს,  
რეჟისორს, მხატვარს, კომპოზიტორს, მსახიო-  
ბებს, ერთი შეხედვით თითქოს ჩრდილმიყენ-  
ბული რჩებთან ის მუშაკები, რომელთაც სცენა-  
ზე ვერ ვხედავთ, მაგრამ საერთო წარმატება-

ში, სპექტაკლის აკვარგიანობაში გარკვეული  
წილი უდევთ, ისინიც ისევე ძალღმად ვანიც-  
დიან ყოველი ახალი წარმოდგენის წარმატებას  
თუ წარუმატებლობას, როგორც უშუალოდ  
დამდგმელები და მონაწილე მსახიობები, ეს  
ასეც არის, რადგან მათაც გულმხურავად  
უყვართ თეატრი და თავიანთი წვლილი შეაქვთ  
საერთო საქმის წარმატებაში.

ასეთ მოწინავე მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის  
გიორგი მომცემლიძე, რომელმაც თეატრალური  
საქმიანობის დარგში უკვე რამდენიმე ათეული  
წელი გაატარა.

გ. მომცემლიძე დაიბადა ქუთაისში თეატრის  
დარაჯის ოჯახში. ბავშვობიდანვე იგი თეატრს  
დაუკავშირდა.

გიორგი მომცემლიძემ თეატრში მუშაობა  
დაიწყო 1924 წელს. იგი თეატრში მიიყვანა  
მსახიობმა მიხეილ სენაიძემ. 1925-1926 წლებში  
იგი მუშაობდა ქ. ფოთის თეატრში რეჟისორის  
თანაშემწედ.

1927 წელს გ. მომცემლიძე მუშაობდა ქუ-  
თაისში მუშა-ახალგაზრდობის თეატრში. იქი-  
დან გაგზავნეს ქ. ლენინგრადში დირექტორების  
კურსებზე.

1928 წლის დასაწყისში გ. მომცემლიძე მუ-  
შაობდა ქუთაისის სატირის თეატრში. ამ  
თეატრს მამინ ხელმძღვანელობდა კოტე მარ-  
ჯანიშვილი. ერთხანს ქუთაისის კოტე მარჯანი-  
შვილის თეატრის დირექტორიც იყო.

ქ. მარჯანიშვილის ოასის თბილისში გაოსა-  
ლის შემოღა გ. მომცემლიძის ოაივლი ახალი  
ოასის შეკრება. მან აქ რეჟისორად მოიწვია  
მიხეილ ჭობრაძე. შეიქმნა ოთხი ძლიერი ოასი.  
სეზონის გასნის დროს ქუთაისში ჩამოიოა  
კოტე მარჯანიშვილი. ის დანტერესდა თეატრის



საქმეებით. მის სურდა, რომ მისი თბილისში გადასვლის შემდეგ თეატრს კვლავ კარგად ემუშავა, უნდოდა გაეწია დახმარება, რომ მომავალი სეზონი არ ჩაშლილიყო.

შემდეგი სათეატრო სეზონი ქუთაისში გამართა ახალგაზრდობამ, რომელიც გამოეყო მარჯანიშვილისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებს. ესენი იყვნენ რეჟისორები ვ. აბაშიძე, გრ. სულიაშვილი, მსახიობები გ. კოსტავა, ა. კვანტალიანი და სხვები. ამ ახალგაზრდობამ მოინდომა მთელი სამხატვრო მუშაობის გადახალსება.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ვ. მომცემლიძე გადაიყვანა ბათუმის თეატრში. კ. მარჯანიშვილმა ბათუმის თეატრს დახმარა რეჟისორი დოდო ანთაძე.

შემდეგ ვ. მომცემლიძე გადაიყვანეს თელავის თეატრში. მუშაობდა იგი თბილისში კინო-თეატრის „ოქტომბრის“ დირექტორად, 1934 წლიდან კი-დასავლეთ საქართველოს კინოფიციის განყოფილების უფროსად, თბილისში-მუსკომედარს თეატრში. 1936 წლიდან ვ. მომცემლიძეს ფოთში დაევალა თეატრის ჩამოყალიბება, რეჟისორად მოიწვია ნიკო გომიაშვილი.

ომის პერიოდში ვ. მომცემლიძე მუშაობდა გორის თეატრში, სოხუმში—ფილარმონიის დირექტორის მოადგილედ, 1949 წლიდან — ისევე ფოთის თეატრში, მეზღვაურთა კლუბში, კულ-

ტურის სახლში და კულტურის პარკში. ხელმძღვანელობით ფოთის კულტურისა და სპორტის სექციების პარტი რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე გახდა, სრულიად საქავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაზე.

ქალაქ ფოთის კულტურისა და დასვენების პარტი დაჯილდოვდა საბატო სიგელით, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი და ვახუთ „იხვესტიის“ მთავარი რედაქტორი.

პარკის დირექტორი გიორგი მომცემლიძე დაჯილდოვებულ იქნა კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამეგრეო ნიშნით „სსუკეთესო მუშაობისათვის“.

ასეთია გიორგი მომცემლიძის საქმიანობა გრძელვადიანი გზა, რომელიც მუდამ დაკავშირებული იყო თეატრთან, ხელოვნებასთან და რომლითაც მან დაიმსახურა ფართო საზოგადოების პატივისცემა და გულმხურვალე სიყვარული.

1957 წლის 25 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ფოთის თეატრმა და მეზღვაურთა კლუბის გამგეობამ ქ. ფოთის თეატრში გიორგი მომცემლიძეს გადახადეს თეატრალურ დარგში მოღვაწეობის 30 წლისათვის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

ამჟამად გიორგი (ყორა) მომცემლიძე მოღვაწეობს ქ. ფოთში და ხელოვნების სიყვარულის ცეცხლს ოდნავადაც არ განელებია.

## საქართველოს თეატრალური საზოგადოებაში

**არსაშუაღიანი** სახალხო არტისტის ალექსანდრე იმედაშვილს დაბადების 90 წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 1972 წლის 23 დეკემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართა მსახიობის ხსოვნის საღამო.


საღამო შესავალი სიტყვით გახსნა თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების გამგემ, ხელოვნების დამს. მოღვაწემ ნ. შვანგარაძემ. საღამოზე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ სსრკ სახალხო არტისტების ვერაიკო ანჯაფარიძე და აკაკი ვასაძე, აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე. შემდეგ მაყურებელს უჩვენეს მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ურთელ აკოსტა“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რომელიც აღადგინა სსრკ სახ. არტისტმა ვერაიკო ანჯაფარიძემ). აღნიშნულ სპექტაკლში ურთელის როლი შეასრულა საქ. სსრ სახალხო არტისტმა კ. შახარაძემ, ივლითის რო-

ლი — საქ. სსრ დამს. არტისტმა სოფიკო ჭიანურელმა.

1972 წლის 26 დეკემბერს მარჯანიშვილის სახელობის სახ. თეატრში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მარჯანიშვილის თეატრმა გამართეს საქ. სსრ სახალხო არტისტი ნიკო გოციბოძის ხსოვნის საღამო, მისი დაბადებულ 100 წლისთავის გამო. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქ. სსრ სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ თავის შესავალ სიტყვაში ილაპარაკა ნიკო გოციბოძის მოღვაწეობის დიდ მემკვიდრეობაზე.

საღამოზე სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ ხელ. დამს. მოღვაწეები გ. ბუხნიკაშვილი და დ. ჩხეიძე, საქ. სსრ სახ. არტისტი მერი დავითაშვილი. დასასრულს წარმოადგინო იქნა მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი — „ანტონოვის“ მუხის დაბნელება საქართველოში“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა. იგი აღდგენილი იქნა სსრკ სახ. არტისტის ვასო გომიაშვილის მიერ).

## ლევან გოთუა



ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაცვალა თანამედროვე ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა.

ლევან გოთუამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში. პირველად მოთხრობიდან შეიყვარა იგი მკითხველმა და შემდეგ ყოველ მის ნაწარმოებს დიდი ინტერესით ხვდებოდა.

ლევან გოთუამ ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო. ახალგაზრდობიდანვე უპირველესად ცოდნის წყაროს დაეწეა. დრამად შეისწავლა არა მარტო ქართული ლიტერატურა და ჩვენს ქვეყნის ისტორია, არამედ მსოფლიო კულტურის საუკეთესო მონაბოვარი. წერა ადრე დაიწყო. მწერალი ავტობიოგრაფიაში წერს: „მთავსვლელობამ და მოგზაურობამ ადრე გამოიკარა ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა, აღმაფრთოვანა ჩვენი ბუნებისა და მიწა-წყლის მშენიერებამ. ამან მოამწიფა და გამაბედვინა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაც“.

ლევან გოთუა დაიბადა ქ. თბილისში 1905 წლის 10 მარტს. მამამისი, პართენ გოთუა, იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. 1921 წელს ლევანმა დაამთავრა თბილისის მე-8 ტექნიკუმი, ხოლო 1925 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი. ამის შემდეგ იგი ბევრს მოგზაურობს, თითქმის ფეხით შემოიარა საქართველოს ყველა კუთხე, ზედმიწევნით შეისწავლა ისტორიული ძეგლები და ჩვენი ხალხის ცხოვრება.

1941 წელს ექვრნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მისი ნოველა „ყინწების ანგელოზი“. ამავე წელს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა დადგა მწერლის პიესა „მეფე

ერეკლე“. როგორც ნოველას, ისე დრამას დიდი ინტერესით შეხვდა მკითხველი და მკითხველი. ასე დაიწყო ლევან გოთუას ლიტერატურული მოღვაწეობა. ომის წლებში მან გამოაქვეყნა ნოველები „უგზო ქარაიანი“, „კრწანისის სევდა“, „კაცის სევტის საიდუმლო“ და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქართულ მწერლობაში. ამავე წლებში მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იღვწება ლ. გოთუას დრამა „უძლეველი“.

ამის შემდეგ ლევან გოთუას მრავალი ნაწარმოები დაიბეჭდა ჩვენს ექვრნალ-გაზეთებში და გამოიქცა ცალკე წიგნებად. მწერალი გატაცებით ამუშავებს თანამედროვე და ისტორიულ თემებს. მრავალთა შორის აღსანიშნავია მოთხრობები „გარეჯულა“, „გულუყარის გაზაფხული“, „მთელი მუხასა“, რომანები „ლუკვი ლომისა“ და „ნისლი ნახატარის ტყეში“. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე კვლავ დაიდგა ლ. გოთუას ახალი დრამა „დავით აღმაშენებელი“. ქართულ-ლი მკითხველი საზოგადოება მეტი და მეტი ინტერესით ეგებება ლ. გოთუას ახალ-ახალ ნაწარმოებებს.

სხვადასხვა დროს ჩვენი თეატრების სცენაზე დაადგა მწერლის კიდევ ორი დრამა „სამსახეობა რაინდისა“ და „თუთის პატარალი“.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ლ. გოთუას ვრცელი ისტორიული რომანები — გმირთა ვარამი“ და სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილი „მითრიადატე“, რომლის მხოლოდ პირველი წიგნი გამოქვეყნდა. „გმირთა ვარამის“ ოთხი წიგნი რამდენჯერმე გამოვიდა დიდი ტრაქეით და ყოველთვის სწრაფად ვრცელდებოდა.

„გმირთა ვარამი“ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს ეხება. მწერალმა ხაზი გაუსვა მწიგნობრობის ეპოს ქართველთა სულთერ სიმტიციეს, სხვადასხვა ეროვნებას ხალხთა ძმობასა და მეგობრობას, საშრობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს. რომანში მხატვრული ქაოვილიდან წინ წამოწეული ისტორიული მნიშვნელობის საკითხები ჩვენს დღევანდელ პრობლემებს ეხმიანება და ამიტომაც გამოიწვია მან ასეთი ცხოველი ინტერესი. „გმირთა ვარამი“ მნიშვნელოვანი წიგნია თანამედროვე ქართულ ისტორიულ რომანტიკაში და მომავალი თაობები ყოველთვის დიდი ინტერესით წაიკითხავენ მას.

ლევან გოთუას ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე.

ნაყოფიერ სამწერლო საქმიანობასთან ერთად ლევან გოთუა ენერგულად ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის უცვლელი წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, საზღვარგარეთელ თანამემამულეებთან ურთიერთობის საბჭოს წევრი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის თემქლოძის მოადგილე. ყველა ამ საქმიანობას ლ. გოთუა ეკიდებოდა უღიდესი პასუ-

ხისმგებლობით, ძალ-ღონეს არ იმურებდა. ყოველგვარი საზოგადოებრივი დავალება პირნათლად შეესრულებია. ფასდაუდებელია მისი დეწული საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლის საქმეში და ზრუნვა, რომელსაც იწინდა ამ საზოგადოების ბეჭდვითი ორგანოს „მეგლის მეგობრის“ დაარსებისა და გამოცემისათვის.

ლევან გოთუა სამაგალითო იყო ყველასთვის როგორც მწერალი და მოქალაქე. ამ ორი მაღალი მოწოდების გრძნობა საოცრად ჰარმონიულად იყო შერწყმული მის პიროვნებაში. მას ვულწრფელად ახარებდა ქართველი მწერლების ყველა წარმატება, განურჩევლად მათი ასაკისა. ყველაფერი, რასაც ოგი აკეთებდა, საშრობლოს კეთილდღეობისათვის ჰქონდა გამოზნული და ამიტომაც ასე გულსხმიერად ეკიდებოდა ყოველგვარ ეროვნულ საქმეს.

საშრობლოს ერთგული შვილი ლევან გოთუა მუდამ იყო განსახიერება ადამიანური კეთილშობილების, სამაგალითო ძმობისა და მეგობრობისა.

გულისხმიერა და დაუხარელი ყოველთვის გულისუბრით უძმენდა უმცროს კოლეგებს, გზმარებოდა, მეგზურობდა ლიტერატურასა და ცხოვრებაში.

მეტად მნიშვნელოვანია ლევან გოთუას დამსახურება მწერლობასა და ჩვენი ეროვნული კულტურის წინაშე. მას როგორც მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს პარტიისა და მთავრობისაგან მიღებული ჰქონდა ჯილდოები.

ქართული საბჭოთა მწერლობის ღირსეული წარმომადგენლის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ლევან გოთუას ნათელი ხსონა, მისი შესანიშნავი ნაწარმოებები მარად-ეაშს იცოცხლებენ მისი მკითხველების, ქართველი ხალხის გულში.

**საპარტიველონ მწერალთა კავშირი;**  
**საპარტიველონ სსრ კულტურის სამინისტრო;**  
**საპარტიველონ თეატრალური საზოგადოება;**  
**საპარტიველონ კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება.**

## ბ უ რ ა მ გ მ ბ ა ვ ა

**უხიბლად** გარდაიცვალა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი გურამ ნიკოლოზის ძე გოგავა, პარტიის წევრი 1969 წლიდან. გურამ გოგავა დაიბადა 1935 წელს, ქ. თბილისში.

1958 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და თანაჯგუფელებთან ერთად სამუშაოდ წავიდა სოხუმში. სოხუმის დრამატული თეატრის სცენაზე ახალგაზრდა მსახიობმა არაერთი მნიშვნელოვანი სახე შექმნა. ამ სახეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხლესტაკოვი („რეკვიზორი“), ჟონ ვალა („მეექვსე სართული“), ფრედო („მშვიდობის კუნძული“), ვახტანგო („დაკარგული დრო“), რომლებშიც მაცუტრებლის მოწონება დაიმსახურა.

1961 წლიდან გ. გოგავა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობია. აქ ახალგაზრდა შემოქმედის ნიჭის თავისებურება უფრო ფართოდ შლის ფრთებს და კოლექტივში მკვიდრ ადგილს იკერს, ბევრს მუშაობს და ფიქრობს პროფესიული დონის ამაღლებაზე, ოსტატობის დაუფლებაზე. პორციუსი („ჰამლეტი“), დუდნიკოვი („კოკეძე“), ფაბრიციო („სასტუმროს დიასახლისი“), მიჩიანი („კოლმეურნის ქორწინება“), ლა გრანჟი („ფარისველთა შეთქმულება“), ამალობელო („ხიდი“), ადიკო („გუშინდელნი“) — ასეთია არასრული სია იმ სახეებისა, რომელთა ხორცეცხმამ გ. გოგავას მაცუტრებლის საყვარელი და აღი-



არება მოუპოვა რუსთაველს სახელობის თეატრში.

გ. გოგავა შემოქმედებითი დაოსტატების გზაზე იდგა, მისგან მაცუტრებელი სწორედ ახალ ელოდა ბევრ საინტერესო ნამუშევარს. ამის საწინდარი იყო თავდაუზოგავი შრომა, საყვარელი და ერთგულუბა, რომელიც მუდამ თანსდევდა მის მიერ განსახიერებულ პატარა თუ დიდ როლებს.

საქმეში სპეტაკი და პირნათელი, მეგობრობაში გამტანი და უწყინარი, ოჯახში თბილი და გულისხმიერი — ასეთად დარჩება გ. გოგავა მეგობრებისა და ახლობლების გულში.

**საპარტიულო თეატრალური საზოგადოება;  
რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური  
თეატრის კოლექტივი.**

## უნსოზი ანისოკოლარული მასალეზი

### ქვირფასო ქმარ ნიკო!

პირველი წერილის პასუხი იმიტომ ვერ მოგწერეთ, რომ მეგონა ასიკო სრულებით კარგად შეყოლება და წავალ მეც ქალაქში მეთქი მაგრამ ჩემზა საუბედუროდ ისე სუსტად არის კი, რომ თავის დანებება ამისი ყოვლად შეუძლებელი არის ჩემგან.

ღვინობისთვის ოცამდე ჩემი ჩამოსვლა შეუძლებელი არის. თექვსმეტადმე ოცამდე თუ საჭირო ვიქნები თუ იმ თქვენს პიესას მანამდე არ ათამაშებთ, როლო, თუ პიესას გამოგზავნა არ შეიძლებოდეს. გამოვიგზავნეთ, ჩემი როლი. რომ კარგათ შევისწავლო და თექვსმეტში ან 17 ჩამოვალ, მანამდე ნებას არ მამძლევს ჩემი ოჯახი, რომ თავი დავანებო, ასიკოს გარდა ორი სხვა მიზეზიც მაქვს.

რაც შეეხება პიესას „სესტრა ტერეზა“ აი თითონ ასიკო გწერთ პასუხს.

დიდად და დიდად ვწუხვარ, რომ არ შემოძლიან ეხლა, როგორც თქვენა მწერთ ანე მალე ჩამოსვლა.

როგორცა გწერთ, თუ გინდათ და გადაადებთ იმ დროისათვის თქვენს პიესას,—როლი გამოვიგზავნეთ რომ შევისწავლო.

მარაღის თქვენი პატივისმცემელი

ნატალია გაბუნია

27 სექტემბერი  
91 წელსა.

### საუპარალო ნიკო!

პიესას მთხოვ. მეგონა დარწმუნებული ხარ, რომ, რაც გამაჩნდა ანუ გამაჩნია, ქართულს რეპრისენტაციის შემოწირავს და კვლავაც შევწირავ; მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ და სხვისდა სამარცხენოდ უნდა გითხრა, რომ ჩემი პიესებით, ჩემდაუეჭოთხავად, რასაკვირველია, ვაკრობენ: აბაშიძეს ნებეირიძისათვის მიუყიდნია, ნებეირიძეს აბაშიძისათვის, და ამგვარად, ვასო თუმანიშვილი გვიამბობს ყველას.

1. ვაგრძელებთ დ. შულღიაშვილის მიერ მოწოდებულ ეპისტოლარული მასალების პუბლიკაციას. აქ წარმოდგენილია ნ. ავალიშვილის, ნ. გაბუნია, კ. ყაფიანის, ი. გომარტელისა და ცაგარლის მიმოწერა. (დააწყისი იხ. „თეატრომატი“, № 3, 1972 წ.).

ამგვარად ჩემგან შეწირულს თეატრისათვის პიესებს, ვინ ყიდულობს და ვინა ჰყიდის — ღმერთმა უწყის. ასე რომ გამოცემა მინდოდა, და ერთი ჩემი დაწერილი ანუ ნათარგმნი პიესა არა მაქვს... ამაზედ უარსესი საქაგლობა რალა იქნება: ღმერთმა ყველას შეიღობა მისცეს. ეხლაც მაქვს მზად ერთი კომედია, მაგრამ ვიღრე არ დავაბუქდინებ, ვერავის ვერ მივცემა... ბატონო, რა ბევრი გავაგრძელო: ნებეირიძისაყ და აბაშიძისაყ ვეხვეუ. მათხოვეთ ჩემი პიესები, გადავწერ და მოგცემთ მეთქი, ფასიც ვამძლე, მაგრამ, შენც არ მომიყვდე, იმათ არაფერი არ მომიცეს! „მონასტრის ზღუდეთა შორის“ ნებეირიძეს აქვს ერთადერთი ჩემი ხელთნაწერი და ამბობს აბაშიძისაგან ვიყიდეთ!

რალა მოგწერო, გული აღარა მაქვს! ავადმყოფობამ უფრო დამჩაგრა... იყავი მშვიდობით. როცა მოვრჩებო, დალაგებით მოგწერ წერილს. გაუმარჯოს თქვენა თეატრს.

შენი ასიკო ცაგარელი

3/8—91 წ.

### ქმარ კოტე!

ამ წლის სათეატრო სეზონს ისევე დრამატული სასოგადოების კომიტეტმა მოჰკიდა ხელს. წარმოდგენები დაიწყება 8 ან 15 ენკენისთვის და გათავლება ყველიერში: თვეში 4—5 წარმოდგენას გაჰმართავს დაქირაებული და მოწვეული აქტიორ-აქტრისებით. რა თქმა უნდა, იმ წარმოდგენებში შენი მონაწილეობაც დიდად საჭირო და სასურველია. იმიტომ გთხოვ, თუ მუდამ ვერა, დროგამოშვებით მაინც დაგვეხმარო შენი გამოცდილი და ნიჭიერი თამაშებით. ისე როგორც წინა სეზონებში ეხმარებოდი—წარმოდგენის წინა დღებში ჩამოსვლითა და მომწერო რა პარობათ შეიძლებ ამგვარ მონაწილეობის მიღებას.

ამასთან ისიც იქონიე მხედველობაში, რომ ჩვენი მეცადინეობა იქნება, რაც შეიძლება გავახლოთ რეპერტუარი. გთხოვ ამის პასუხი რაც შეიძლება დროით მომწერო ამ ადრესით: ნიკო ავალიშვილს, ჩულურეთი, პანსევეჩის ქ. სახლი თუხარელისა (სუჰკარაპეტის ეკლესიის ახლოს).

შენი ნიკო ავალიშვილი.

12 მარიაშობის თვეს, 1891 წ. ს. ქვიშებით.

შენ არ ვიყავი და შენი წერილი მხოლოდ დღეს წავიკითხე. დიდის სიამოვნებით მივიღებ წარმოდგენებში მონაწილეობას, მაგრამ გიორგობის თვის ნახევრამდისინ თბილისში ზამთრობით დაბინავება არ შემიძლია და იქნება ამ ზამთარს სრულიადაც ვერც კი დავბინავდებ ქალაქში. ამიტომაც თუ დაყაბულდებით მე ჩამოვალ ხოლმე ქალაქში წარმოდგენებისათვის. ვიცი არ დამზრახავ, რომ ამ წერილში ჩემი პირობებიც მოგახსენო, სხვადასხვა უბრალო ვლდეილებში არ ვითამაშებ. ახალ პიესებში ვითამაშებ იმ როლებს, რომელიც მე შემიძლება. ვარდა ამისა, აი ჩემი რეპერტუარიც და იმედი, რომ ამ პიესებსაც წარმოადგენთ:

1. „მეფე ლირი“.
2. „ვენეციელი ვაჟი“.
3. „კორადო“.
4. „როშელი“.
5. „სამშობლო“.
6. „ორი მამა“.
7. „ორი ობოლი“.
8. „ყან ბოდრი“.
9. „შემოსავლიანი ადგილი“.
10. „ოტელი“.
11. „თამარ ბატონიშვილი“.
12. „რევიზორი“.
13. „მასკარადი“.
14. „ვაი ჭკუისავან“.
15. „ბედნიერი დღე“.
16. „ციმბირელი“.
17. „ხათაბალა“.
18. „დაქვეული ოჯახი“.
19. „პეპო“.
20. „კრიჟანგი“ და სხვა. ამ ხასიათის პიესებში ვითამაშებ. თვეში ორჯერ რომ მომცე როლი, თითო წარმოდგენაში ავიღებ 5 რუპიან და ჩამოვალ ხოლმე 4 ან 5 დღის წინათ. „მეფე ლირი“, „შუკლოხაშა“, „რაშელში“, „კორადოში“, „ოტელიში“ ავიღებ 75 მანეთს. ცივილის ტრანსპორტი ჩემი იქნება, ვეროპისა და ისტორიული—თქვენი. ბენეფისიც მინდა ერთი სრული.

მე ამ ფასს იმითმ გიცხადებ, რომ თბილისში ჩამოსვლისათვის მე სასტუმროში უნდა ჩამოვხტე ხოლმე. ზოგი ასეთი პიესებია, მაგალითად „ლირი“ და ამისთანა, უფრო დიდხანს მომიხდება დაყოვნება ქალაქში და კარგად იცო, რომ თუ ჩემსას არ დავადებ—მოგება ხომ არა დამრჩება—რა; ჩემი ფასიც თქვენთვის არ არის დიდი; ხარჯის მეტი, ჰაპანწყვეტის მეტი და ზარალის მეტი ქართულს თეატრს დღემდისინ ჩემთვის არა მოუცია—რა და დღეის შემდეგაც არას მომცემს და მე თვითონ იმდენი შეძლება არა მაქვს, რომ საზოგადო საქმეს ჩემი დავაყარო რაზე.

ჩემო ნიკოვან, ახლა შენ იცი რა პასუხსაც მომიცემ.

დავშთები მარადის შენი ერთგული.

**კოტე ყიფიანი**

სექტემბრის 4 დღესა. 1891 წ.  
ს. ქვიშხეთი

შენ გიცნობ ზრდილობიან კაცად და შენი პასუხის მოუწერლობა, ცოტა არ იყოს, მაკვირვებს. მგონია, რომ პასუხი გინდ კარგი იყოს, გინდ ავი—მაინც უნდა მიეცეს კაცს.

მარადის შენი კოტე ყიფიანი.  
2/10—91 წ.

**ქმარ კოტე!**

ძალიან ვწუხვარ, რომ ამდენ ხანს უპასუხოდ დავტოვე, მაგრამ იმედი მაქვს, არ გამოჩაგრდები, რადგან საქმიან მიმოწერაში პასუხი მარტო ზრდილობაზედ არ არის დამოკიდებული, არამედ უმეტესად იმ საქმის გარემოებაზედ, რომელზედაც მიწერ-მოწერა გამართული. რადგან, უწინდელთან შედარებით, შენ ერთი ორად და სამად ჯილდო მოითხოვე, ამიტომ პასუხის მოსაწერად, იმის სათქმელად—შეგვიძლიან თუ არა შენი პირობის მიღება და აგრეთვე იმისთვისაც, რომ ჩემი პირობა შემომგეფავლა.—დრო იყო საქირო იმდენი, რომ საქმის აწმყო მდგომარეობა—ჩვენი დასის ძალა, პუბლიკის თანაგრძნობა, თუ გულცივობა ცოტად თუ ბევრად მაინც თვალთ დაგვენახა.

უწინდელი ჯილდო რომ მოგვეთხოვნა მაშინ გაუჭირებლად და სწრაფად შემეძლო პასუხი შემომგეფავლა და იმასაც ვიხსენებ, რომ პირველივე წარმოდგენაში შენი არტიკული თამაშობით დამეტკბო საზოგადოება და მეც მადლობა მიმეღო იმისაგან. მაგრამ რა ექნათ, რომ ჰამა ქონებაზედ ჰკიდია. იმის მიხედულობით. რაც წარსულმა ოთხმა წარმოდგენამ მაჩვენა და რა თანხაც შეუძლიან კომპეტემა დაადოს თავის კასადან წლევანდელი სეზონის წარმოდგენებს, იმის მიხედულობით უნდა გითხრა, რომ შენი მშვენიერი თამაშობით ვერ დავტკებებით, თუ შენ მამულშვილობას არ დაატანე ძალა და ისევ ძველებურად მცირედი ჯილდოთი არ დაეხმარე თეატრს. იმ მცირედი ჯილდოთი, რომელსაც უწინ სჯერდებოდო, სახელდობრ 25 მან. თვითონ წარმოდგენაზედ. კარგად ვიცი, რომ ეს იმას ძლავს ეყოფა, რაც წასვლამოსვლაზედ და აქ ცხოვრებაზედ მოგვივა ხარჯი, მაგრამ იმაზედ დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ გვეტყვი და როგორც დაგოწყვი, ისე კიდევ ბოლომდის გასწვე თეატრის სამსახურს.

შენი ხარჯის შესამცირებლად ეს შეგვიძლიან მოვახერხოთ, რომ ორი წარმოდგენისათვის ერთად მოხვიდე—ამით წასვლა-მოსვლის ხარჯი მაინც შეგვიმცირდება. ბენეფისიც გექნება რასაკვირველია, სრული, მაგრამ უწინდელ კვალობაზედ კომპეტრის სისარგებლოდ დადებულ ნაწილის გამოირცხვით, ისე, როგორც ჩვეულებრივ აქვს კომპეტრს დადგენილი.

ამჟამად ამხედ უკეთეს პირობას ვერ გეტყვი. აბა შეგვატყობინე, იმედი გექონდეს შენი დახმარებისა? ვითამაშებთ „შელოხას“, „მეფე ლირს“ და სხვას თუ არა? პასუხს ნუ დაგვიკვირებ.

შენი ერთგული ნიკო ავალიშვილი.

**ძმად ნიკო!**

ამ წერილს ვწერ დაბა სურამში; დღეს ჩემმა ცოლმა გამომიგზავნა ქეიზეთიდან შენი წერილი. რადგან საქმე აგრე ყოფილა, როგორც იწერებო. უაბულა ვარ და ჩამოვალ ხოლმე, მაგრამ დიდს ანგარიშს არ შეადგენს თქვენთვის რომ თითო თამაშში მომცეთ სამი თუმანი ჩამოსვლისთანავე. წინდაწინვე. რაიცა შეეხება ბენეფისს, მე უფრო გადაჭრილ ფულს დაგკარდებო, ვადრე რაიმე წილადობას ანგარიშის დაქვრას; მაგალითად ან თხუთმეტი ან ათი თუმანი მომეცოთ ბენეფისიდან და სხვა თქვენი იყოს. ასე ნიკოჯან, გამომიგზავნე როლები და შემატყობინე საროდით რა პიესების წარმოუგენას აპირებო.

დღეს მიეღეარ ბორჯომს, ორშაბათს ჩამავალ, ექვსის რიცხვიდან ათამდისინ მე ვერ ჩამოვალ; შემდეგ კი შემოქლიან ჩამოსვლა. ველი შენს პასუხს.

დავშთები მარადის შენი ერთგული  
კოტე ყიფიანი.  
4 ოქტომბერს 1891 წ.  
სურამი.

4/X—91 წ.

**ბატ. ნიკო!**

უმორჩილესად გთხოვთ რეპეტიციის შემდეგ შემოაიროთ რედაქციაში და შეგვატყობინოთ როგორ მიდის ჩვენი თეატრის საქმე.

დღეს „ივერიაში“<sup>2</sup> გელანძღავენ, რატომ ორგანიზალურ პიესებს არ თამაშობენო. თუ შეიძლება, სამშაბათს ან ხანიდრავას პიესა, ან ბენაშვილის უკანასკნელი პიესა („ქვეყნიერებს მოშორებთ“) წარმოადგინეთ, თუ აბაშიმე კარგად არის.

თქვენი ერთგული გ. თუმანიშვილი.<sup>3</sup>  
4 ოქტ. 1891 წ.  
თბილ.

ამას წინათ წერილი მოგწერეთ: აკაკის იუბილესათვის მასალები გამომიგზავნეთო. მე გადამეცა თქვენი თხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელს წიგნის მალაზიაში და ვთხოვე, რომ გამოგზავნათ თქვენთვის მასალები; რამდენათ აპარულს, არ ვიცი, რუსულს ვაზეთში თქვენი პიესა ძალან ნაქებო იყო (закавказск. издание). დროებას თანამშრომლებში სიტყვით ძალან ემხრობიან ყოველგვარ ქართულს და ამას იმაში იყენებენ მხოლოდ, რომ არაფერი ქართული მათ არ მისწონთ. იმასაც კი სიტყუესა სწერენ: ხალხი ცოტა დაესწრო. ხალხი ბლომათ იყო, მაგრამ კადრე მეტა იქნებოდა, რომ იმავე დღეს ქართულს გიმნაზიაში კონცერტი არ ყოფილაყო. უკანასკნელი მოქმედების დროს მთელი თეატრი სტიროდა, — მაშასადამე პიესას მძლავრი შთაბეჭდილება მოუხდენია. სასოვადოთ, როგორც ახალგაზრდა მწერალს, ბევრი დავაფსავთ იხეთ, რომელსაც ხელოვნებასა არა გაეგებარა. მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცოთ, იმისთანა პირებს რომ მოეწონოთ, ეს არც სასაამოვნოა.

გამგეობა პაუხს მალე მოგვკეთო. ხოლო თქვენი წერილები იქ არაივს უჩვენებია ჩვენთვის, არც ვიცი, ვის მოუვიდა, შემდეგ კრებაზედაც მოვაგონებ გამგეობას.

თქვენი ი. გომართელი  
(1909 წელი).

- 1) ნიკო ავალიშვილი— ქართული თეატრალური დასის რეჟისორი 1891—1892 წლებში.
- 2) ვახ. „ივერიაში“ 1891 წ. 4 ოქტომბრის ნომერში დიბეჭდა კრიტიკული სტატია ალ. სარაჯიშვილისა „ალი“-ს ფსევდონიმით.
- 3) გიორგი თუმანიშვილი—ქართული თეატრალური საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე.
- 4) ეს წერილი მოგვაწოდა გ. ჯავახიშვილმა.

## თეატრალური პოზრეზები, ნაკვევები მუსიკაზე

ამ სათაურით „ხელოვნება“ გამოცემა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ზურაბიშვილის წიგნი. მასში შესულა ყველა მნიშვნელოვანი სტატია თუ გამოკვლევა, რაც კი ავტორს ქართული ხელოვნებისათვის მიუძღვნია.

ილია ზურაბიშვილი დიდი კულტურისა და ფართო ერუდიციის მოღვაწე იყო. მან ფრად მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა ქართული კულტურის ისტორიაში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუღალავად, მთელი შემოქმედებით აღტყინებითა და უანგაროდ ემსახურებოდა თავის სამშობლოს, იყო ჩინებული მწერალი, თეატრალური კრიტიკოსი და მუსიკათმცოდნე, აქტიური მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობით, მტკიცე დარაჯად ედგა ქართულ სიტყვას და შეუპოვრად იბრძოდა მისი სიწმინდის დასაცავად. იგი დიდი ილიას სკოლას ეკუთვნოდა, როგორც მწერალი მისგან იყო დალოცვილი და ბოლომდე ერთგულად მიჰყვებოდა ილიასა და აკაკის ნაკვალავს.

თუ ზურაბიშვილის მოთხრობები ყურადღებას იქცევდნენ მხატვრული სიამართლით, ცხოვრებისეული უშუალოებითა და ქართული სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულებით, მისი პუბლიცისტური ნაწერები, თეატრალური პორტრეტები, მუსიკალური ნარკვევები განცვიფრებას იწვევენ საგნის ცოდნით და ანალიზის სიღრმით. აქაც, ამ სტატიებსა და ნარკვევებში იგი მხატვარია, ანალიტიკური ტალანტით დაჯილდოებული მხატვარია. წერს მიმზიდველად, დახვეწილი ენით, სახეებით, ცოცხალი მაგალითების მოხდენილი მომარჯვებით. კითხულობთ მის პორტრეტებს და თქვენს თაღლინ ცოცხლებთან სცენის დიდი ოსტატები თავისი შემოქმედებით თავისებურებებით, მნიშვნელოვანით დაწყებული-უმნიშვნელო დეტალმამდე. დეტალები მის ხელში განზოგადების ძალას იძენენ და ხელს უწყობენ პორტრეტის სარულყოფას.

და ეს შეეხება არა მხოლოდ თეატრალურ პორტრეტებს, სადაც ავტორი მისთვის სათაყვანებელი მსახიობების სახეებს აცოცხლებს, არამედ მუსიკალურ ნარკვევებსაც. ვაოცებას იწვევს მისი „ვანო სარაჯიშვილი“, ნარკვევი ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ შესა-

ხებ, „ნიკო ქუმისაშვილი“, „პირველი ქართველი დირიჟორი“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „ცეკვა ქართული“, „ქახური მრავალკამერი“ და „ურბული“. გარდა იმისა, რომ მხატვრული ნოველებივით არის დაწერილი და ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენენ, მათ დიდი შემეცნებითი ღირებულება გააჩნიათ. ილია ზურაბიშვილმა პირველმა დაასახუთა უაღრესად დამაჯერებლობით, რომ ცეკვას „ქართულს“, რომელსაც ადრე ლეკურს უწოდებდნენ, არაფერია საერთო არა აქვს ლეკურთან, რომ იგი რაღაცაა უფრო განსხვავდება ლეკური ცეკვისაგან და თავისი სულიერი განწყობილებით და სიუჟეტით წმინდა ქართულია. ეს ისე კარგად არის დასახუთებული, რომ ოდნავი ეჭვისათვისაც კი ადგილი არ რჩება.

ასევე ბრწყინვალეა მისი „ურბული“ და „ქახური მრავალკამერი“. კითხულობთ ამ ნარკვევებს და ყურში ჩაგვსმით მომაჯადოებელი ჰანგები, თითქმის დაწერილს კი არ კითხულობთ, არამედ თვით სიმღერას ისმენთ და ტკბებით.

შეიძლება ყოველივე ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იგი მხატვრული სიტყვის დარად ფლობდა სიმღერას, სასცენო ხელოვნებას, იყო მსახიობი, შეანიშნავი მოცეკვავე და მომღერალი.

ძალიან საინტერესოა სტატია „ცოტა რომ გაბრეღ სენდუკიანზე“. იგი დაწერილია დიდი სიყვარულითა და გამსჭვალულია მოძმე ხალხთა გულწრფელი მეგობრობის სულისკვეთებით. ამ მოგონების წაკითხვისას ნათლად ხედავთ იმ მჭიდრო კულტურულ ურთიერთობას და მეგობრობას, რომელიც მოწინავე ქართველ და სომეხ მოღვაწეთა შორის ყოველთვის არსებობდა. ამ მოგონების ერთი ნაწილი ავტორმა პირველად 1937 წელს ჰქონდა გამოქვეყნებული ჟურ. „მნათობში“.

მთელი კრებული, რომელიც „ხელოვნება“ მკითხველს შესთავაზა, რომანივით იკითხება და დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებთ.

გამომცემლობასთან ერთად მაღლობის ღირსია წიგნის შემდგენელი ალექსანდრე სიგუა, რომელსაც მასალები სიყვარულით შეუგროვებია, დედნებთან შეუჯერებია, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთავს.

## ნიგნი ქუთაისის თოჯინების თეატრი

საპარტიზოს თეატრალურმა საზოგადოებამ კარგი საქმე გააკეთა—ქუთაისის თოჯინების თეატრის დაარსების 25 წლისთავის საიუბილეოდ დღეებში გამოსცა ცნობილი ქართველი თეატრ-მცოდნეების ვლენე შაფაიაფასა და გუგული ბუხნიკაშვილის ნაშრომი „ქუთაისის თოჯინების თეატრი“.

წიგნის ავტორებმა მრავალი დოკუმენტი, სპექტაკლის გამოძახილი, თეატრის მოდელფოტო მოგონებები და სხვა საჭირო მასალა შეაგროვეს. ამ მასალის ანალიზით ავტორები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ქუთაისში თოჯინების თეატრის დაარსებისა და მისი განვითარების გზების შესახებ. ამ წიგნის მკითხველი დარწმუნდება, რომ თეატრის მუშაებს ამოძრავებდათ კეთილშობილური მიზნები — ბავშვებისათვის ჩაენერგათ საბჭოთა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და მისთვის თავდადების იდეალები, მაღალხეობრივ მორალური ჩვევები, საკუთარი ძალების რწმენა, შრომისა და ცოდნის შეძენის წყურვილი. განვილი 25 წლის მანძილზე თეატრის მუშაებს მრავალი სიმწევე გადაუღაბავთ, რომ ქუთაისში შეექმნათ ასეთი მოწინავე თეატრი, რომელსაც ახლა ასე გაბედულად შეაქვს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მომავალი თაობის აღზრდის დიდ საქმეში.

წიგნის ვრცელ წინასიტყვაობაში გ. სამხარაძე საყვებით მართებულად აღნიშნავს, რომ „თეატრი წლიდან წლამდე, სეზონიდან სეზონამდე

ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს აღწევდა, რეპერტუარს ამდიდრებდა, ხვეწდა. მთელი გაცეებითა და აღმადრენით ემსახურებოდა მრავალრიცხოვანი მაყურებლის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. თეატრმა შემოიკრიბა და გულისხმიერად აღზარდა სცენის ნიჭიერი კადრები, რამაც განაპირობა სპექტაკლების მაღალი იდეური და მხატვრული დონე“.

წიგნის ავტორები ვრცლად ჩერდებიან ქუთაისის თოჯინების თეატრის პირველ სპექტაკლზე „თეთრა ფანია“. მოჰყავთ ვრცელი ამონაწერები პირველი რეცენზიიდან. ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ქუთაისელმა ბავშვებმა კარგი სარუქარი მიიღეს. ეს პირველი ნაბიჯი ისეთი ძლიერა და გააზრებული იყო, რომ მან მკვიდრა ფუნდამენტი შეუქმნა თეატრს. მას მოჰყვა ასევე მაღალ დონეზე შექმნილი დირსეული სპექტაკლები.

სარეცენზიო წიგნი მხატვრულად კარგადაა გაფორმებული ილ. უთუტრაშვილის მიერ, შეიცავს 94 გვერდს. წიგნს დართული აქვს თეატრის 1946—1972 წლების რეპერტუარი, თეატრის გახსნის — 1946 წლის 31 დეკემბრის პირველი აფიშა (ავაკი ბელიაშვილის „თეთრი ფანია“), თეატრის დამაარსებლის რეჟისორ სერგო ცავარეიშვილის, მსახიობებს, თეატრის ახლანდელ სამხატვრო ხელმძღვანელების ფოტოსურათები.

ბ. კ.

## შ ი ნ ა რ ს ი

ქართული თეატრის დღე . . . . .	3
დავით ფანჩულიძე — ქართველი მოლიერი . . . . .	4
იამზე გვათუა — ახალგაზრდობა — დრო, ძიება, შემოქმედება . . . . .	7
კონკურსის შედეგები . . . . .	9
ოპერა „დაისის“ ტრაუმფი დასავლეთ გერმანიაში . . . . .	10

### რესპუბლიკის თეატრალურ ავზიანთან

ვაჟა ძიგუა — „კოლხეთის ცისკარა“ . . . . .	11
უანა თოიძე — „გუმინ შვიდნი გურჯანელი“ . . . . .	12
ვახტანგ გორგანელი — შთამავონებელი სპექტაკლი . . . . .	14
ეთი გოლინსკი — ჩემი შთაბეჭდილებანი . . . . .	16

### ჩვენი იუბილარები

ნატა დევიძე — გიორგი გეგეჭკორი . . . . .	19
გურამ ბათიაშვილი — პირველი შთაბეჭდილებანი . . . . .	20
ალექსი ბარნოვი — დავით ჩაჩანიძე . . . . .	21
მეძღვნა ვალერიან გუნიას ხსოვნას . . . . .	22

### ღვაწლმოსილთა გახსენება

უჩა ჭავჭავიძე — ვალერიან გუნია და ქართველი მხატვრები . . . . .	23
გუგული ბუხნიკაშვილი — ნიკო გოციარიძე . . . . .	24
ვასილ კაკნაძე — გიორგი დავითაშვილი . . . . .	26
გიორგი დარისპანაშვილი — დაუეიწყარი დიდოსტატი . . . . .	29
ტარიელ ხავთასი — საყვარული, ძიება, პროფესიონალიზმი . . . . .	31
კარგი მაგალითი . . . . .	33
ბიძინა მინდაძე — ხორუმი (ლექსი) . . . . .	34

### სახალხო თეატრის სცენაზე

რევაზ ლორია — „საბედისწერო ბილიკი“ . . . . .	35
პავლე ხმალაძე — თეატრისათვის თავდადებული . . . . .	36
საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში . . . . .	37

### გამოთხოვვა

ლევან გოთუა . . . . .	38
გურამ გოგავა . . . . .	40

### ჩვენი პუბლიკაციი

უცნობი ეპისტოლარული მასალები . . . . .	41
--	----

### თეატრალური წიგნის თარო

თეატრალური პორტრეტები, ნარკვევები მუსიკაზე . . . . .	44
წიგნი ქუთაისის თოჯინების თეატრზე . . . . .	45

## СО Д Е Р Ж А Н И Е

День грузинского театра . . . . .	3
Давид Панчулидзе — Грузинский Мольер . . . . .	4
Иамзе Гватуа — Молодежь, время, поиск, творчество . . . . .	7
Итоги конкурса . . . . .	9
Триумф оперы «Данси» в Западной Германии . . . . .	10

### У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ.

Важа Дзигуа — «Заря Колхиды» . . . . .	11
Жана Тоидзе — «Вчера семь гурджаанцев» . . . . .	12
Вахтаг Горганели — Вдохновляющий спектакль . . . . .	14
Ежи Галинский — Мои впечатления . . . . .	16

### НАШИ ЮБИЛЯРЫ.

Ната Девидзе — Георгий Гегечкори . . . . .	18
Гурам Батиашвили — Первые впечатления . . . . .	20
Алексеи Барнов — Давид Чачанидзе . . . . .	21
Посвящается памяти Валерьяна Гуния . . . . .	22

### ВСПОМНИМ ЗАСЛУЖЕННЫХ

Уча Джапаридзе — Валерьян Гуния и грузинские художники . . . . .	23
Гугули Бухникашвили — Нико Гоциридзе . . . . .	24
Василий Кикнадзе — Георгий Давиташвили . . . . .	26
Георгий Дариспанашвили — Незабываемый мастер . . . . .	29
Таризл Хавзаси — Любовь, поиск, профессионализм . . . . .	31
Хороший пример . . . . .	33
Бидзина Миндадзе — «Хоруми» . . . . .	34

### НА СЦЕНЕ НАРОДНОГО ТЕАТРА

Реваз Лория — «Роковая тропинка» . . . . .	35
Павле Хмаладзе — Преданность театру . . . . .	36
В театральном обществе Грузии . . . . .	37

### ПРОЩАНИЕ

Леван Готуа . . . . .	38
Гурам Гогава . . . . .	40

### НАШИ ПУБЛИКАЦИИ

Неизвестные эпистолярные материалы . . . . .	41
--	----

### КНИЖНАЯ ПОЛКА

Театральные портреты, очерки по музыке . . . . .	44
Книга о Кутаисском театре кукол . . . . .	45

**ВЕСТНИК**  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ  
(на грузинском языке)  
Тбилиси — 1973  
№ 1 (71)

ფასი 25 კაპ.  
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 8/II-73  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-73 წ.